გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.org.ge/lelo

№ 36
(11 390)

9 – 11 მაისი, 2000 წ.
ფასი 40 თეთრი

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

# ტრადიციული შეხვედრა ომის ვეტერანებთან

ტრადიციისამებრ, გუშინ, 8 მაისს, ფაშისტურ გერმანიაზე გამარჯვების 55 წლისთავთან დაკავშირებით, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტში შეხვედრა მოეწყოს ომის იმ ვეტერანებს, რომლებმაც ათეულობით წლები ქართული სპორტის სამსახურს შესწირეს. მოწვეულებს გულთბილად მიესალმა კახი ასათიანი და დეპარტამენტის სახელით სიმბოლური თანხა გადასცა მათ. მანვე მთავრობის დავალებით ქვეყნის მაღალი ჯილდოები — ორდენები და მედლები გადასცა სპორტის ღვაწლმოსილ მუშაკებს თეიმურაზ ხუბულურს, ნოე ლობჟანიძეს, გივი ჩხარტიშვილს, ედიშერ მაჩაიძეს, მიხეილ სალაძეს, გიორგი შარაშიძეს, გიორგი ვაზაგაშვილს, ილია მჭედლიშვილს, მანუჩარ მაჩაიძეს, ზორბეგ ებრალიძეს, ბესარიონ მჭედლიშვილს, გიორგი მამალაძეს... აქვე სპორტის დამსახურებული მუშაკის წოდების მოწმობები გადაეცათ საქართველოს სპორტული სამყაროს წარმომადგენელთა ერთ ჯგუფს.

## მილოცვა



სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტი და საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი დაბადებიდან 75 წლისთავს ულოცავენ სპორტული მედიცინის ღვაწლმოსილ მუშაკს, წარსულ წლებში სპორტის ცალკეულ სახეობებში ნაკრები გუნდების, აგრეთვე თბილისის „დინამოს“ კალათბურთელთა და ფეხბურთელთა ოსტატთა გუნდების ექიმს, ამჟამად სეოკ-ის სამედიცინო რეაბილიტაციის სამსახურის ხელმძღვანელს, საქართველოს სპორტული მედიცინის ასოციაციის პრეზიდიუმის წევრს და ბავშვთა სპორტული მედიცინის კომისიის თავმჯდომარეს, *თენგიზ ქუთათელაძეს.*

## დაჯილდოება

ტანვარჯიშის განვითარებაში შეტანილი პირადი დიდი წვლილისათვის საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის სიგელით დაჯილდოვდა სპორტის დამსახურებული ოსტატი *გალინა შარაბიძე.*

## საქართველოს თასი

## 1/2 ფინალი

დღეს, 9 მაისს, ქუთაისსა და ბათუმში ორი ნახევარფინალური მატჩი თასის ფინალისტებს გამოავლენს. ბათუმში მასპინძლებისთვისაც და ლოკომოტივისთვისაც გამარჯვება ევროპული საგზურის მოპოვების ერთადერთი საშუალებაა. თბილისელებს ორბურთიანი უპირატესობა აქვთ, ხოლო ბათუმელებს სათასო ბრძოლებში გამობრძმედილი გუნდის სახელი უმაგრებს ზურგს.

წილისყრამ ისე ინება, რომ ტორპედო — თბილისის დინამოს დაპირისპირებამ ჩემპიონატიდან სათასო მატჩებშიც გადაინაცვლა. ამით ქუთაისელებს დუბლის შესრულების ჩინებული შანსი გაუჩნდათ. ხოლო თბილისელებს ჩემპიონობა თუ არა, თასის მოპოვება გარკვეულ შვებას მოჰგვრის. თითოეულ გუნდს კონკრეტული ამოცანა აქვს შესასრულებელი — ერთნი მოპოვებული უპირატესობის შენარჩუნებას ეცდებიან, მეორენი ძველი ავტორიტეტის განმტკიცებას. ვნახოთ, ვისკენ გადაიხრება ფორტუნა, დაველოდოთ საპასუხო მატჩებს. მანამდე კიდევ ერთხელ გადავავლოთ თვალი პირველი შეხვედრების შედეგებს:

**დინამო (ბათუმი) — ლოკომოტივი (თბილისი) 0–2**
**ტორპედო (ქუთაისი) — დინამო (თბილისი) 1–1**

# ემზადეთ 24–25 ივნისისათვის

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის აღმასკომის დადგენილებით, საერთაშორისო ოლიმპიური დღისადმი მიძღვნილი მასობრივი მძლეოსნური გარბენები საქართველოში ჩატარდება 24-25 ივნისს. ღონისძიების მომზადება-ჩატარება ერთობლივად უნდა უზრუნველყონ სეოკ-ის თბილისის, აფხაზეთის, აჭარისა და, სეოკ-ის თხოვნით, სპორტისა და განათლების ყველა დონის ორგანიზაციებმა. ტრადიციისამებრ, მათ ყველგან ამოუდგება მხარში „კოკა-კოლა“ ბოთლერს ჯორჯიას“ წარმომადგენლობა.

ღონისძიებისათვის მზადება და ჩატარება ფართოდ გაშუქდება მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით.



# წააგებ ვაი, მოიგებ - უი!

## ანუ როგორ იქცა ჩვენი წყალბურთელების წარმატება ტკბილ-მწარე სიხარულად!

შეუძლებელია ამაღლებული ნიჭიერების გარეშე და ნიჭიერება ამაღლებულის გარეშე. ქართული სპორტი ტალანტების წყალობით შეიჭრა მსოფლიო სპორტის ელიტაში და ამ საუკუნის ბოლო ოთხათეულ წელიწადზე მეტია იქ ღირსეულად იყო წარმოდგენილი. ტრადიციების გამოძახილი, გართულებულ ცხოვრებას ჯერ კიდევ არ ჩაუკლავს ბოლომდე და მოდის თაობა, რომელიც კვლავაც გვისახავს ქართული სპორტის დიდების გადარჩენის იმედს.

მართლა საოცრებაა, რაც ქართულ წყალბურთში ხდება. როცა საქართველოში მხოლოდ ერთი საუცრაო აუზი მუშაობს, სადაც წყალბურთელთა ვარჯიშია შესაძლებელი, როცა არა თუ ეროვნული ჩემპიონატი, არამედ სამგუნდიანი ტურნირიც ვერ ტარდება, მეტიც, ამა თუ იმ ასაკის ნაკრებს შინ სპარინგ პარტნიორიც არ ჰყავს, საოცრებაა აბა რა, სხვისი ქვეყნის პირველობაში იასპარეზო და, რაც მთავარია, ღირსეული მეტოქეობა გაუწიო შენზე უკეთეს პირობებში მყოფთ.ეს სხვა ქვეყანა, უდიდესი რუსეთია, თავისი უნიკალური საწყლოსნო ბაზებით, სპორტული სკოლებითა და კლუბებით, უამრავი შეჯიბრებებით, აღარაფერს ვამბობთ შეკრებებზე, რომლის ხსენებაც კი ამოვარდა ლექსიკიდან ჩვენში, ისევე როგორც საზაფხულო სპორტულ-გამაჯანსაღებელი ბანაკისა. და აი, ასეთი ქვეყნის პირველობაში საქართველოს ჭაბუკები, რომლებიც მხოლოდ სხვაგან ჩატარებული მატჩებით იძენენ გამოცდილებას და იმაღლებენ ოსტატობას, ისეთ წარმატებას აღწევენ, რომ გაოგნებულებს სტოვებენ ორგანიზატორებს და სპეციალისტებს. შარშან, გახსოვთ ალბათ, ჩვენმა ჭაბუკებმა რუსეთის პირველობის ფინალში გააღწიეს და უძლიერესის სახელიც მოიპოვეს. წლე-

*იხ. მე-2 გვ.*

# 19-20-21 მაისი. ვერეს ბაღის კალათბურთის სასახლე. ღია მსოფლიოს ჩემპიონატი სამეჯლისო სპორტულ ცეკვებში „კავკასიის თასი-2000“ (IDSF OPEN)

მონაწილეობენ: საქართველოს, აშშ, გერმანიის, ავსტრიის, რუსეთის, ბელარუსიის, ლატვიის, აზერბაიჯანის, სომხეთის, ოსეთის საუკეთესო მოცეკვავე წყვილები და გუნდები. საჩვენებელი გამოსვლით გამოვა ამერიკის შეერთებული შტატების კონკურსების მრავალგზის გამარჯვებული წყვილი გოჩა ჩერტკოევი და შორენა გაჩეჩილაძე (აშშ, ტეხასი, დალასი)
ბილითები გაიყიდება ტურნირის დღეებში კალათბურთის სასახლეში.
დასაწყისი: 11 და 17 საათზე.

# ქართული ფეხბურთი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საინფორმაციო საონსორი

## ნომერშია:

- სფფ-ს აღმასკომის მე-7 სხდომის გადაწყვეტილებით ფეხბურთში ბავშვთა ლიგის გათამაშებას ლეგენდარული ქართველი ფეხბურთელის ბორის პაიჭაძის სახელი ეწოდა.
- **ეროვნული ჩემპიონატის, რეგიონული ლიგისა და ბორის პაიჭაძის სახელობის ბავშვთა ლიგის მატჩები**
- ისევ ბავშვთა ფეხბურთის პრობლემებზე — გამოხმაურება წერილზე: „მასობრივი „მამლუქობა“ საქართველოში“
- **უცხოეთის ფეხბურთი ამბები**

## ყურადღება!

10 მაისს, 13 საათზე ჩატარდება სფფ-ს სადისციპლინო კომიტეტის მორიგი სხდომა

# მიიწვიეს სუმოს დიდ ტურნირზე

დღეს, 9 მაისს, იაპონიაში მიემგზავრება სუმოს ქართველ ოსტატთა ერთი ჯგუფი, რომელიც მონაწილეობას მიიღებს ამ ქვეყანაში სუმოს ერთ-ერთი ყველაზე საუკეთესო სპორტული კომპლექსის გახსნისადმი მიძღვნილ დიდ საერთაშორისო ტურნირში. სარბიელზე გამოვლენ ლევან ებანოიძე, ხვიჩა ქობალია და ჯონდო დაბრუნდაშვილი, მიწვეული იყო ალექსი დავითაშვილიც, მაგრამ იგი ევროპის ჩემპიონატზე გაემგზავრა. ჩვენების მიწვევის ყველა ხარჯები იაპონელებმა გაიღეს.



SYDNEY 2000

# ოლიმპიურ თამაშებს 129 დღე გვაშორებს

მიმდინარე წელი ზაფხულის ოლიმპიურ ასპარეზობათა წელია. საქართველოს სპორტული და ოლიმპიური ტრადიციების გათვალისწინებით, მასში მონაწილეობა და წარმატებით გამოსვლა არა მარტო სპორტსმენებისა და სპორტის მუშაკების, არამედ სახელმწიფოს, მისი ყველა სტრუქტურის ზრუნვისა და ყურადღების საგანი, უფრო სწორად, მოვალეობა უნდა იყოს.

*ედუარდ შევარდნაძე*

## 50 წლის წინათ...

***ხულო.*** სათხილამურო სპორტში აჭარის პირველობა მოიგო ხულოს ნაკრებმა.

***სიღნაღი.*** მოსწავლე ტანმოვარჯიშეთა რაიონულ შეჯიბრებაში ყველას აჯობეს ვ. დონჯაშვილმა და ლ. ხმალაძემ.

***სტალინირი.*** კოლმეურნე ძალოსანთა საოლქო შეჯიბრებაში პირველი იყო ჯავის, მეორე — ლენინგორის გუნდები. აბსოლუტური ჩემპიონი გახდა ე. თედეევი.

***ბათუმი.*** მძლეოსნობაში, კალათბურთსა, ჩოგბურთსა და ფეხბურთში გამართულ მასობრივ შეჯიბრებებში 1000-მდე ფიზკულტურელი მონაწილეობდა.

***წითელწყარო.*** სოფ. არხილოსკალოში მოაწყვეს სპორტული დარბაზი, შეიძინეს ინვენტარი, ჩამოყალიბდა ფეხბურთის, ფრენბურთის, მძლეოსნობის, ჭიდაობის სპორტული სექციები.

***თბილისი.*** მოსწავლე მოფარიკავეთა შეჯიბრებაში გამარჯვება მოიპოვეს თბილისელებმა ჯ. ჩიხლაძემ, ზ. ბილანიშვილმა, ზ. კვერენჩხილაძემ, გ. ჩხაიძემ და ზესტაფონელმა ვ. მაჭავარიანმა. გუნდურ პირველობაში გაიმარჯვეს თბილისელებმა, მეორე იყო ქუთაისის ნაკრები.

***ჭიათურა.*** ჭადრაკში ქალაქის 1950 წლის ჩემპიონობა მოიპოვა მოსწავლე გ. ტარსაიძემ.

***ზუგდიდი.*** რაიონის ჩემპიონი ჭადრაკში გახდა კ. ხორავა.

***სიღნაღი.*** რაიონის პირველობა კალათბურთში მოიგო სიღნაღის ვაქთა საშუალო სკოლის გუნდმა.

***სოხუმი.*** თბილისისა და სოხუმის მოტომრბოლთა შეჯიბრებაში 125 კუბ. სმ. მოცულობის მანქანებით რბოლაში გაიმარჯვა ა. ხაბურზანიამ, უფრო მძლავრ მანქანებში უძლიერესი იყო ასევე, თბილისელი თ. ჩხაიძე.

# წააგებ ვაი, მოიგებ — უი!

*(პირველი გვერდიდან)*

ულს ქართველი ყმაწვილები კვლავ მოიწვიეს და... კვლავ ფინალში აღმოჩნდნენ.

„ლელოს“ წინა ნომერში ვწერდით ფინალური ეტაპის მატჩების შედეგებზე და დავძენდით, რომ „შრომითი რეზერვების“ ნაკრებთან წარმატების შემთხვევაში, უმაღლესი ტიტულისათვის საბრძოლველად მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდს (მგუ) დაუპირისპირდებოდნენ. ეს ამოცანაც საქართველოს გუნდმა წარმატებით გადაჭრა. მგუ-ს ნაკრებთან შესარჩევ ეტაპზე ჩვენებს 6:4 ჰქონდათ მოგებული. ასე რომ, მეტოქეები კარგად იცნობდნენ ერთმანეთს. ფინალი მართლაც ღირსეული გამოდგა. შინაგანად, ალბათ სტუმრები, უპირველესად კი მწვრთნელები გრძნობდნენ, რომ მასპინძლები „შეცდომას“ აღარ გაიმეორებდნენ და სხვა ქვეყნის გუნდს აღარ დაუთმობდნენ თავისი ქვეყნის პირველობას, მით უფრო, წყალბურთში მიკერძოება სულ ადვილი შესაძლებელია. გუნდის უფროსი მწვრთნელი სოსო მაისურაძე ორ ცეცხლშუა აღმოჩნდა, იქ, მოსკოვში, ფინალი ჰქონდათ ჭაბუკებს, თბილისში კი იუნიორი წყალბურთელები, რომლებიც ასევე მისი ხელმძღვანელობით ოსტატდებიან, ევროპის პირველობის შესარჩევ ტურნირში იბრძოდნენ შემდგომ ეტაპზე გასვლის საგზურის მოსაპოვებლად. მაისურაძემ თბილისს მოაშურა. გუნდი კი მოსკოვში მეორე მწვრთნელს ირაკლი კიკალიშვილს ჩააბარა.

თქვენ წარმოიდგინეთ, ცუდი ვარაუდი არ გამართლდა. ორგანიზატორებს მსაჯებიც ნეიტრალური დაუნიშნავთ ფინალურ მატჩში და თურმე საოცარი ობიექტურობაც კი გამოუჩენიათ. მსაჯობა ნამდვილად არაფერ შუაშია, უბრალოდ, ჩვენებს გამოცდილება აღარ ეყოთ, თორემ მოედანზე რომ რიცხობრივი უპირატესობა გექნება, თანაც... 5-6-ჯერ და ვერ გამოიყენებ, მიზეზი მხოლოდ საკუთარ თავში უნდა ეძებო, თუმცა, საძებნი რა არის, აკი ზემოთ ვთქვით, არანაირი შეკრება, არანაირი ტურნირები, სპარინგ-პარტნიორი, გამოუცდელობა და ა.შ. რუსეთის პირველობის ფინალში რომ გავა, თანაც ერთხელ, ჩემპიონი, მეორედ კი ვიცე-ჩემპიონი გახდება გუნდი, ცოტა მეტი დაფიქრება მართებს ყველას, ვისაც ქართული სპორტის მომავალი აღელვებს. მოკლედ, რუსეთის ამ პირველობის მოგებაც შეიძლებოდა. თანაც, მიაქციეთ ყურადღება, მასპინძლებმა მატჩი მხოლოდ 1 ბურთის სხვაობით 5:4 მოიგეს.



სოსო მაისურაძის ასაკით უფროსი შეგირდები „ლაგუნა-ვერეს“ საწყლოსნო კომპლექსში, როგორც ვთქვით, იმავე დღეებში ჩაებნენ იუნიორთა ევროპის პირველობის შემდგომ ეტაპზე გასასვლელ ჯგუფურ ტურნირში. რაკი თბილისში უკრაინელები არ ჩამოვიდნენ, ჯგუფს სამი გუნდი შემორჩა, ორი საუკეთესო კი საგზურს ინაღდებდა. თუ იმასაც დავძენთ, რომ ლიტველები ლამის სათადარიგო მოთამაშეთა გარეშე ჩამოვიდნენ (მშობლებს ჩეჩნეთში ომის გამო (?!) ვერ გაურისკიათ შვილების გამოგზავნა), რუმინეთისა და საქართველოს ნაკრებების პროგრამა მაქსიმუმის შესრულებას წინ ვერაფერი დაუდგებოდა. ასეც მოხდა. ტურნირის პირველსავე მატჩში რუმინელებმა დიდი ანგარიშით 20:4 მოუგეს ლიტველებს, მერე მათ ჩვენმა ნაკრებმა სძლია 18:1, რუმინეთ — საქართველოს გუნდების ურთიერთშეხვედრისას უფრო პრაქტიკული მნიშვნელობა ჰქონდა შემდგომ ეტაპზე განთესვისთვის. რუმინელები მაღალი კლასის წყალბურთს თამაშობენ, მაგრამ ქართველი იუნიორების სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მასპინძლების შემოთავაზებულ ტემპსაც გაუძლეს, და დახვეწილი ტაქტიკური ვარიანტების განეიტრალებაც შეძლეს. განსაკუთრებით, მატჩის საერთო დროის პირველ ნახევარში. დაძაბულ პაექრობაზე კი საბოლოო ანგარიშიც მეტყველებს — 8:6 ჩვენების სასარგებლოდ. ევროპის ფედერაციის ტექნიკურ კომიტეტში მსაჯთა კორპუსის ხელმძღვანელი ფრანგი ალფონსო ანჯელო ძალიან კმაყოფილი დარჩა თბილისში ამ ტურნირის ორგანიზაციული დონით. აი რა თქვა მან: „საქართველოს წყალბურთელები ყოველთვის ღირსეულად იყვნენ წარმოდგენილნი მსოფლიოს წყალბურთის დიდ ოჯახში. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ასე იქნება მომავალშიც, თუ საქართველოს ფედერაციის სურვილი იქნება, მზად ვართ კვლავ დავგეგმოთ და ჩავატაროთ საერთაშორისო შეჯიბრებები საქართველოში. მასპინძლობით ყველა კმაყოფილი დარჩა, მადლობა საქართველოს ფედერაციის და „ლაგუნა-ვერეს“ ხელმძღვანელობას“.

მეორე ეტაპის მატჩები გერმანიაში ჩატარდება აგვისტოში. თქვენ წარმოიდგინეთ, ამ წარმატებას მაინცდამაინც დიდი სიხარული არ გამოუწვევია ფედერაციაში. საქმე ისაა, რომ ჩნდება ახალი თავსატეხი, საშოვნელია გუნდის მისავლინებელი თანხა, ვალები კი იმდენი დაგროვდა, ფედერაციას მეტის აღება აღარ სურს. აი, ასეთი პარადოქსებიც არაა უცხო ჩვენს რეალურ ცხოვრებაში. აქვე არ შეიძლება არ ითქვას კიდევ ერთ სასიამოვნო ფაქტზე. „ლაგუნა-ვერეს“ კომპლექსის ტრიბუნებზე წყალბურთის ხილვას მოწყურებული უამრავი მაყურებელი იყრიდა თავს (საერთაშორისო შეჯიბრება მათ თბილისში ხომ 1988 წლის შემდეგ არ უნახავთ), ბოლო დღეს კი ბევრი მშობელი აკითხავდა კომპლექსის დირექციას წყალბურთში სამეცადინოდ ბავშვის მიყვანის პირობების გასაგებად. აი, რა შეუძლია კარგად ორგანიზებულ ასპარეზობას და, როცა თქმა უნდა, წარმატებებს, რომლითაც ასე გაგვახარეს ჭაბუკმა და იუნიორმა წყალბურთელებმა.

თ. თომაშვილი

**P.S. მოსკოვში ჩვენი ჭაბუკი წყალბურთელების მივლინების ხარჯები თბილისის მერიამ გაიღო. მერიამ და მისმა სპორტის სამმართველომ ყველაფერი გააკეთეს აგრეთვე იმისათვის, რომ თბილისში გამართული იუნიორთა საერთაშორისო ტურნირი ფინანსურადაც და ორგანიზაციულადაც ყოფილიყო უზრუნველყოფილი.**

# თბილისის მოსწავლეთა 54-ე სპარტაკიადა

**ფარიკაობა.** ვაკის საფარიკაო დარბაზში გამართულ ამ სასპარტაკიადო შეჯიბრებაში 100-ზე მეტი ნორჩი მოფარიკავე გამოვიდა ბილიკზე. ორგანიზაციულად ასპარეზობას ხელმძღვანელობდა თბილისის ფარიკაობის ოლიმპიური რეზერვის ფარიკაობის სპორტსკოლა (დირექტორი ვ. ჭკუასელი).


ხმლით ასპარეზობაში გამარჯვებული და პრიზიორები

***კვარცხლბეკი. რაპირა. გოგონები:*** 1. ლელა ძნელაძე, 2. ნატო კობიაშვილი, 3. ანა ძნელაძე (სამივე — ვაკე), ნელი დვალიძე (დიდუბე); ***ჭაბუკები:*** 1. აკაკი მაჩაიძე (სამგორის რაიონი), 2. კახაბერ ქემოკლიძე, 3.ბექა ბექაური, რომან ლომიძე (სამივე — დიდუბე); ***დაშნა. გოგონები:*** 1. ნინო იმნაძე, 2. ნათია საკაშვილი (ორივე — ვაკე), 3. სალომე დიდია (საბურთალო), ნატო ხრიკინა (ნაძალადევი); ***ჭაბუკები:*** 1. გიორგი სილაგაძე, 2. დავით ელბაქიძე, მიხეილ ჯიქია (სამივე — საბურთალო), გიორგი კილურაძე (ვაკე); ***ხმალი:*** 1. გიორგი აირაპეტიანი, 2. გიორგი ბაღსოლიანი, 3. დავით მთვარელიძე, ზურაბ ბაღსოლიანი (ოთხივე — ვაკე); ***გუნდური:*** 1. ვაკე, 2. საბურთალო, 3. დიდუბე.

**ჩოგბურთი.** ფინალურ შეჯიბრებაში ერთმანეთის პირისპირ დადგნენ მთაწმინდისა და ვაკის რაიონების წარმომადგენლები. 4:0 გაიმარჯვეს მთაწმინდელმა მოსწავლეებმა. მესამე ადგილისათვის ბრძოლაში ჩუღურეთის რაიონის ჩოგბურთელებმა 4:3 სძლიეს ისნის რაიონის თანატოლებს.

### თავისუფალი ჭიდაობა

# ორი ტურნირიდან — უამრავი მედლით

ამ დღეებში ერევანმა 13-15 წლის ჭაბუკთა ორ საერთაშორისო ტურნირს უმასპინძლა თავისუფალ ჭიდაობაში. ტურნირში საქართველოდან თბილისის ლევან თედიაშვილის სახელობის ოლიმპიური რეზერვის სპორტული სკოლის აღსაზრდელები მონაწილეობდნენ, ორივე ტურნირი წარმომადგენლობითი იყო.

***თენგიზ ღამბაშიძე*** — ერთ-ერთი გუნდის მწვრთნელი: ჩვენს ტურნირში 24 გუნდის 257 ნორჩი ფალავანი იბრძოდა წარმატებისთვის. ჩვენებიდან ოთხი — ლევან მეტრეველი (32 კგ), კოკა კოტორაშვილი (35), გაგა სამხარაძე (42) და ნუკრი ჯელაძე (69) პირველ ადგილზე გავიდნენ, ერთი — თამაზ სუთიაშვილი (63) — მეორე, ნიკო გაგნიძე (63) მესამე იყო. ორი ჩვენებური ერთმანეთს შეხვდა. ამავე წონაში შესანიშნავად იჭიდავა აგრეთვე ომარ ინაშვილმა, მაგრამ ნახევარფინალში მსაჯებმა დაჩაგრეს, შემდეგ დანაშაული იმით „გამოისყიდეს“, რომ ინაშვილს სპეციალური პრიზი გადაეცა საუკეთესო ტექნიკისათვის.

მეორე ტურნირი ბაგრამიანის ხსოვნას მიეძღვნა, სადაც შედარებით ნაკლები გუნდები მონაწილეობდნენ. აქ 7 წონაში მოიპოვეს პირველობა ჩვენმა ნორჩმა ფალავნებმა (მწვრთნელი თამაზ ბენდიანიშვილი). აი, ისინიც: დათო ბუქური (38), ბექა ჭელიძე (42), კობა მაქარაშვილი (46), მიხეილ ზარქუა (53), მამუკა არველაძე (59), გია ჩიხლაძე (66), ამირან მარკოიშვილი (85), მეორე ადგილზე გავიდა მიხეილ ზარქუა (66), მესამეზე — ნიკო გოგიძე (66).


სერგო ბაგრატიონის ფოტო

**სურათზე:**

მარცხნიდან (სხედან): ლევან ქობულაშვილი, ვალერი გიორგაძე, კოკა კოტორაშვილი, ლევან მეტრეველი, თენგიზ ბედოშვილი, გაგა სამხარაძე, ელგუჯა ქობესაშვილი (ეროვნული მწვრთნელი).

დგანან: საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი თენგიზ ღამბაშიძე, ნუკრი ჯელაძე, ნიკო გაგნიძე, ზურა კოტორაშვილი, ომარ ინაშვილი, თამაზ სუთიაშვილი.

### ველოსპორტი თბილისის ღია პირველობა

# ჯერჯერობით ხავსს ეკიდებიან...

დღევანდელ პირობებში, როცა ჩვენი სპორტი დიდ უსახსრობას განიცდის, ნამდვილ ფუფუნებად უნდა ჩაითვალოს სულ მცირე, თუნდაც ქალაქის ღია პირველობის ჩატარება, თანაც ისეთ ძვირადღირებულ სახეობაში, როგორიც ველორბოლაა, რომლის წარმომადგენლები ყველაზე მწვავედ განიცდიან ინვენტარისა და სათადარიგო ნაწილების ნაკლებობას. მიუხედავად ამისა, საქართველოს ფედერაციისა, სპორტსაზოგადოება „მართვესა“ და „შევარდენის“ ხელმძღვანელთა წყალობით, რომელთაც, რომ იტყვიან, „კბილებით უჭირავთ“ ეს სახეობა, რომ იგი მთლად არ გაქრეს ჩვენში, მაინც მოხერხდა ამ ტრადიციული ასპარეზობის ჩატარება (გამარჯვებულებს პრიზები კი ქალაქის მერიის სპორტის სამმართველოს უფროსმა ვლადიმერ კანკავამ გამოუყო).

ღია პირველობის „შტატიანი მონაწილეები“ არ შეცვლილან, ქობულეთელი და ლაგოდეხელი მეტოქეები ეცილებოდნენ მასპინძლებს თბილისი — კოჯრის გზატკეცილზე ორ ასაკობრივ ჯგუფში პირველობას. მათ შორის არ იყო ქუთაისის (ადრე უცვლელად გამოდიოდა) გუნდი.

**კვარცხლბეკი:** ***პროლოგი (სამთო). უმცროსი ასაკი: 5 კმ:*** 1. ზაურ მანაგაძე — 12.45 („შევარდენი“, ლაგოდეხი), 2. სერგო მურჯიკნელი — 13.55 („შევარდენი“, თბილისი), 3. ვაჟა ვაშაყმაძე 14.15 („შევარდენი“, ქობულეთი);

***უფროსი ასაკი: 10 კმ:*** 1. ლევან მესხიძე — 25.04, 2. ბესო თავბერიძე — 25.10 (ორივე — „შევარდენი“, ქობულეთი), 3. მიხეილ ზაალიშვილი 26.20 („დინამო“, თბილისი); ***10 კმ. უმცროსი ასაკი: ინდივიდუალური რბოლა დროზე.*** 1. მანაგაძე — 14.50, 2. მურჯიკნელი — 15.06, 3. ვაშაყმაძე — 15.15.

***უფროსი ასაკი. 20 კმ.*** 1. ბესო მიქელაძე — 28.31 („შევარდენი“ ქობულეთი). 2. ზაალიშვილი — 28.55, 3. გია ქევხიშვილი — 28.59 („შევარდენი“ თბილისი).

***ჯგუფური რბოლა. 25 კმ:*** 1. ლაშა ცეცხლაძე, 2. ბაჩანა გიორგაძე, 3. სერგო მურჯიკნელი — 38.56 (სამივე — „შევარდენი“, თბილისი).

***უფროსი ასაკი. 100 კმ.*** 1. ბესო მიქელაძე (ქობულეთი), 2. სამველ ხაჩიანი (ქობულეთი), 3. გარი ბეგლაროვი — (თბილისი, სამივე — „შევარდენი“) 2:20.

საქართველოს ველოფედერაცია და პირველობის მსაჯთა კოლეგია მადლობას უხდის საქართველოს საგზაო პოლიციის თანამშრომლებს — გოჩა გველესიანსა და დავით გველესიანს, რომლებმაც ტრასებზე უზრუნველჰყვეს უსაფრთხოება, რითაც ხელი შეუწყვეს შეჯიბრების ნორმალურად ჩატარებას.

**ავთანდილ გუნია,**
შეჯიბრების მთავარი მსაჯი,
საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი.

ქართული ფეხბურთი

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საინფორმაციო სპონსორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს XI ეროვნული ჩემპიონატი ფეხბურთში

## I ლიგა, II ეტაპი. X ტური.

## I–VIII ადგილები

### იბერია — ტორპედო 0–3

***იბერია:*** ვარდანიძე, ქვანია, ბიწაძე, გეგეშიძე, მიქელთაძე (თ. მაღლაკელიძე, 52), მ. ჯინჭარაძე, ხურციძე, ივეჩიანი, მუმლაძე (გიორგაძე, 60), კ. ჯანაშია (დ. ნოზაძე, 50), ს. გიგიაძე.

***ტორპედო:*** ჭანტურია, იონანიძე (ასათიანი, 46), მახვილაძე, ამისულაშვილი, აბულეძიანი (თავბერიძე, 60), ხვადაგიანი, კ. კვეტენაძე (იმედაძე, 46), გოგიაშვილი, დ. ჯანაშია, მეგრელაძე, ვაჩიბერაძე.

***მსაჯი:*** ა. შილაკაძე (თბილისი).

***გოლები:*** 0-1 იონანიძე (27), 0-2 დ. ჯანაშია (57), 0-3 ასათიანი (80).

### დინამო (ბთ) — დინამო (თბ) 0–0

***დინამო (ბთ):*** ტოგონიძე, ზ. არჩვაძე, მინდაძე (მაჭუტაძე, 66), მ. მახარაძე, ხუჯაძე (რომანაძე, 78), სიდამონიძე, თ. ტუღუში (ღლონტი, 46), ი. მახარაძე, ხომერიკი, ა. მუჯირი, აფხაზავა.

***დინამო (თბ):*** გრიშიკაშვილი, ვაშაკიძე, დიდავა, შაშიაშვილი, ა. სახვაძე (ჭმოკლიძე, 71), ნემსაძე, ჯინჭარაძე, გ. შენგელია (მინაშვილი, 60), ანჩაბაძე, წიტაიშვილი (ზირაქიშვილი, 60), სიჭინავა. მსაჯი: დ. სანაია (სოხუმი).

### კოლხეთი 1913 — სიონი 5–0

***კოლხეთი 1913:*** ქვაჩახია, გოროზია, ტორჩინავა, დავითნიძე, ფანჩულიძე, შალამბერიძე, კიკლიაშვილი, ე. გვასალია (კვირკველია, 81), რ. ახალკაცი (შავგულიძე, 69), მ. ქობულაძე (პაპავა, 65), ღლაღანიძე.

***სიონი:*** დალაქიშვილი, კ. გოდერძიშვილი, დ. სვანაძე, დიმიტრიშვილი, მაისურაძე, მ. სამხარაძე (ელბაქიძე, 69), ნ. მინდიაშვილი, მ. გოგოლაძე, თ. სამხარაძე, კ. გოგოლაძე, მოსეშვილი.

***მსაჯი:*** მ. მალაღურაძე (თბილისი).

***გოლები:*** 1-0 ღლაღანიძე (7), 2-0 დავითნიძე (30), 3-0 ე. გვასალია (33), 4-0 მ. ქობულაძე (38), 5-0 ფანჩულიძე (68).

### დილა — ვიტ ჯორჯია 0–2

***დილა:*** სოლოლაშვილი (მდივანი, 46), აკოფიანი, რ. ხაჭაპურიძე, გაგნიძე, ლ. გოჩაშვილი (ფეზუაშვილი, 58), ლომიძე, ოლგესაშვილი (კარელიძე, 77), ციცქიშვილი, საყვარელიძე, არუთინიანი, სულთანიშვილი.

***ვიტ ჯორჯია:*** ჭურაძე, თ. კობიაშვილი, ჭანკოტაძე (დიღმელაშვილი, 33), სახაია, ჯ. მუჯირი, მორჩილაძე (ლ. ნოზაძე, 46), კოტორაშვილი, გიორგი ქორიძე, ყიფიანი, გოცირიძე (ი. ხაჭაპურიძე, 52, ვ. გოჩაშვილი).

***მსაჯი:*** კ. მესხი (ზუგდიდი).

***გოლები:*** 0-1, 0-2, ვ. გოჩაშვილი (62, 66).

***გაფრთხილება:*** არუთინიანი, ჭანკოტაძე, საყვარელიძე, ხაჭაპურიძე.

***გაძევება:*** საყვარელიძე.

## IX–XVI ადგილები

### თსუ — არსენალი 2–0

***თსუ:*** მერლანი, დ. არჩვაძე, მაზიაშვილი, ინწკირველი, ებრალიძე, რ. სვანაძე (ახალაძე, 70), ადამია, ხართიშვილი, წუწუნავა (ქადაგიძე, 86), დეკანოსიძე, მესხი.

***არსენალი:*** კუპატაძე, ე. ალადაშვილი (გ. ჩალაძე, 58), ასპინძელაშვილი, ირემაშვილი, გ. ტუღუში, სულაძე (წოწკოლაური, 61), შუკაკიძე, კაპანაძე, კაკაშვილი, ა. ხმალაძე, ქოიავა.

***მსაჯი:*** მ. მაისურაძე (თბილისი).

***გოლები:*** 1-0, 2-0 წუწუნავა (9,37).

***გაფრთხილება:*** კაკაშვილი, ქოივა, ე. ალადაშვილი, ინწკირველი.

### სამგურალი — ლოკომოტივი 1–0

***სამგურალი:*** სტურუა, დ. ჭელიძე, ჩხაბერიძე, ფრანგიშვილი, ვოსკანოვი (ჭყონია, 55), ბერაძე, ნებიერიძე (ხუნდაძე, 46), ფუტკარაძე (ზ. ქუთათელაძე, 46), გიორგობიანი, დარსაძე, კვერნაძე.

***ლოკომოტივი:*** ასლანაძე, ბალაშვილი, ბაქრაძე, გულორდავა (ლ. მიქაძე, 46), ვ. გველესიანი (აბრამიძე, 46), სალუქვაძე, კაციაშვილი, ლ. ჩხაიძე, ონიანი, დ. გოდერძიშვილი, ხუროძე.

***მსაჯი:*** პ. დოგრაშვილი (ქუთაისი).

***გოლი:*** 1-0 ზ. ქუთათელაძე (70).

### კოლხეთი — თბილისი 1–2

***კოლხეთი:*** ნიქაბერიძე, ჯამბურია, მ. ტყებუჩავა (დ. ჩიტაია, 80), ალანია, ზურ. აიანადი, ხურცილავა, ვართაგავა, ქაშიბაძე, ოდიშარია, ვ. ჩიტაია, ზაზა აიანადი (ჭიჭინაძე, 46).

***თბილისი:*** მამალაძე, ზამთარაძე, ვ. ძაგნიძე, ჩივაძე, ყუფარაძე, დ. ტყებუჩავა, ამაშუკელი, ბურდული, კოხრეიძე (მანჯგალაძე, 58), ი. შენგელია, გონჩაროვი.

***მსაჯი:*** გ. ასკარ-ოღლი (ქარელი).

***გოლები:*** 1-0 ვ. ჩიტაია (10), 1-1 ჩივაძე (39), 1-2 მანჯგალაძე (73).

***გაფრთხილება:*** ზამთარაძე, კოხრეიძე, ი. შენგელია, ვართაგავა, ალანია.

***გაძევება:*** ალანია.

### გორდა — მერანი-91 1–1

***გორდა:*** ბედიაშვილი, მჭედლიძე, ბურნაძე (მ. სახვაძე, 46), ბექაური, გაბელაია, ვ. კილასონია, მელაძე, გ. კილასონია (ბაჩილავა, 45), მიშველიძე (ა. ბუკია, 52), კ. ალადაშვილი, ზ. ლაბაძე.

***მერანი-91:*** ნაჭყეპია, ლ. ამბიძე, ცქიფურიშვილი, დევიძე, ილურიძე, კობესაშვილი, ხორხელი (კოშკაძე, 46), კაკაბაძე, ბოლქვაძე, გუჯაბიძე, როსტიაშვილი.

***მსაჯი:*** ა. შალამბერიძე (ქუთაისი).

***გოლები:*** 1-0 ვ. კილასონია (8), 1-1 კობესაშვილი (30).

### I–VIII ადგილები

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| ტორპედო | 10 | 6 | 2 | 2 | 26-9 | 38 |
| ვიტ ჯორჯია | 10 | 6 | 4 | 0 | 11-4 | 34 |
| დინამო (თბ) | 10 | 3 | 7 | 0 | 10-2 | 33 |
| დინამო (ბთ) | 10 | 5 | 2 | 3 | 14-7 | 30 |
| კოლხეთი 1913 | 10 | 4 | 3 | 3 | 13-8 | 28 |
| სიონი | 10 | 2 | 1 | 7 | 10-22 | 18 |
| დილა | 10 | 2 | 0 | 8 | 9-21 | 16 |
| იბერია | 10 | 2 | 1 | 7 | 5-25 | 16 |

### IX–XVI ადგილები

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მერანი | 10 | 6 | 4 | 0 | 11-2 | 30 |
| ლოკომოტივი | 10 | 6 | 2 | 2 | 17-3 | 29 |
| გორდა | 10 | 6 | 2 | 2 | 17-5 | 28 |
| თსუ | 10 | 6 | 0 | 4 | 13-10 | 26 |
| სამგურალი | 10 | 4 | 3 | 3 | 9-6 | 21 |
| არსენალი | 10 | 3 | 0 | 7 | 11-20 | 14 |
| თბილისი | 10 | 2 | 1 | 7 | 8-19 | 14 |
| კოლხეთი (ხ) | 10 | 1 | 0 | 9 | 10-31 | 8 |

## ოთხი ტურის და... მიმოხილვა

...ახალი ჩემპიონიც გვეყოლება. ვინ იქნება იგი!? ისევ თბილისის „დინამო“ თუ სავარდო და სამაისო ქალაქ ქუთაისის „ტორპედო“? შაბათს გამართულმა X ტურის მატჩებმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, უფრო სწორად, ხაზი გაუსვა ქუთათურთა საჩემპიონო ამბიციებს, რომლებმაც, ბოლო ორი შეხვედრით თუ ვიმსჯელებთ, მკვეთრად უმატეს ტემპს და, რაც მთავარია, თამაშის ხარისხი გამოასწორეს.

X ტურის მატჩების შედეგები წინასწარ ძნელად გამოსაცნობი არ იყო — ლიდერებმა მორიგი გამარჯვებები მიითვალეს. „ტორპედო“ მეზობლებს ეწვია და როგორც მოსალოდნელი იყო, ცულაბა სამი ქულით შეივსო. „ვიტ ჯორჯიამ“ გორში გაიმარჯვა, ხოლო ფოთის „კოლხეთმა“ ბოლნისელი სტუმრები ხელცარიელი გაუშვა შინ. უმთავრესი მატჩი ბათუმში გაიმართა იქაურ და თბილისელ დინამოელებს შორის. როგორც იტყოდნენ „თანაგუნდელთა“ პაექრობამ გამარჯვებული ვერ გამოავლინა. მეტოქეებმა ვერც ამჯერად დალაშქრეს კარი. უგოლო ფრემ ორივე გუნდს გაურთულა საქმე. ბათუმელებს „კოლხეთი“ წამოეწია, თბილისელები კი სულაც ერთი საფეხურით ჩამოქვეითდნენ და მეორე ადგილი ვიტ ჯორჯიას დაუთმეს. დარჩენილ ტურებში „დინამოს“ ორ მეტოქესთან მოუწევს ბრძოლა, როგორც ჩანს, მათი სპორტული დაპირისპირება მეტად მწვავე იქნება, რადგან არც „ტორპედო“ და არც „ვიტ ჯორჯია“ მოპოვებული უპირატესობის დათმობას არ აპირებს. „ა“ ზონის დანარჩენი სამი გუნდი „სიონი“, „დილა“ და „იბერია“ სეირის საცქერლად თუ მოიცლიან. არადა, ეროვნულ ჩემპიონატს ინტრიგა და ინტერესი არათუ მოაკლდა, პირიქით, ფინიშის მოახლოებამ ვითარება უფრო დაძაბა.

„ბ“ ზონაში გაურკვეველი ერთი საკითხია, გავარდება თუ არა „სამგურალი“? გუნდი, რომელიც ჩემპიონატის ბოლოს მხოლოდ ქებას და პატივისცემას იმსახურებს, მომავალ ჩემპიონატში პირველ ლიგაში თამაშის ღირსია, თუმცა, არც მისი უშუალო კონკურენტია ჯაბანი და ქულათა ის მარაგი, რაც თსუს „სამგურალთან“ აშორებს, სტუდენტებს კიდევ ერთი ტური მაინც მშვიდი ძილის უფლებას აძლევს.

„არსენალის“, „თბილისის“ და ხობის „კოლხეთის“ ბედი გარკვეულია. ისინი გაისად მეორე ლიგაში გამოვლენ.

## სპეციალისტის კომენტარი

მეათე ტურში გამართული მატჩების კომენტარი ვთხოვეთ სფფ-ს სამსაჯოსაინსპექტორო კომიტეტის თავმჯდომარეს *ანატოლი მილჩენკოს:*

— ყველა შეხვედრა ნორმალურ ვითარებაში ჩატარდა. მსაჯებისადმი პრეტენზიები არავის გამოუთქვამს. რვა შეხვედრაში დაფიქსირდა ორი გაძევება, ორი ყვითელი ბარათის გამო გააძევეს ხობელი ველოდი ალანია და გორელი ალბერტ საყვარელიძე, დაფიქსირდა 13 გაფრთხილება.

თითოეულ მსაჯს თავისი პირადი ბარათი აქვს, სადაც აღინუსხება ინსპექტორების შენიშვნები და რეკომენდაციები, რაც ატესტაციის ობიექტურად ჩატარებაში გვეხმარება, მსაჯთა უარყოფითი და დადებითი ნიუანსების გათვალისწინება მომავალი ჩემპიონატისათვის გამოგვადგება. მსაჯებმა იციან, რომ პერსპექტივისთვისაც მსაჯობენ, რაც ბევრს ნიშნავს. მონაცემთა შეჯერებით, სფფ-ს ხელმძღვანელებს და ალმასკომს წარვუდგენთ და დავამტკიცებთ იმ მსაჯებს, რომელთაც შეეძლებათ ახალი, მომავალი ეროვნული ჩემპიონატის მსაჯობა, აგრეთვე, ქვეყნის საერთაშორისო არენაზე წარმოჩენა — ასეთი კი სამი მთავარი მსაჯი და ექვსი ასისტენტი უნდა იყოს.

## გვიწვევენ ევროპის ახალგაზრდულ თამაშებში

*2001 წლის 13-20 ივლისს, ქ. მურსიაში (ესპანეთი) ჩატარდება ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური დღეები, რომლის პროგრამაში შეტანილია ფეხბურთი (1985 წ. დაბადებულთათვის). ცნობა ამის თაობაზე მიიღო სეოკ-მა, რომელიც თავის მხრივ, სფფ-ს სთხოვს მიიღოს გადაწყვეტილება, გააკეთებს თუ არა განაცხადს საქართველოს ნაკრები გუნდის ზემოაღნიშნულ შეჯიბრებაში მონაწილეობის თაობაზე.*

*გადაწყვეტილების მიღების დროს სფფ-მ უნდა გაითვალისწინოს რომ:*

*1) ოლიმპიურ დღეებში მონაწილეობაზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს თამაშების საორგანიზაციო კომიტეტი ევროპის ოლიმპიურ კომიტეტებთან ერთად;*

*2) მონაწილეობის შემთხვევაში გუნდს მოამზადებს და სათამაშო ფორმით უზრუნველყოფს ფედერაცია;*

*3) საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი თავის თავზე იღებს ნაკრების მგზავრობას, ესპანეთში ცხოვრების ხარჯებს, ეკიპირებას თამაშების გახსნისა და დახურვის ალლუმისათვის და სხვა ხარჯებს, რაც დაკავშირებულია თამაშებში მონაწილეობასთან.*

*შეგახსენებთ, რომ 1997 წელს ასეთ ტურნირში ვახტანგ კოპალეიშვილის შეგირდებმა იზეიმეს წარმატება. სფფ-მ გადაწყვეტილება ერთ კვირაში უნდა მიიღოს.*

## ჭაბუკთა ევროპის ჩემპიონატზე

ისრაელში მიმდინარეობს 16 წლამდე ჭაბუკ ფეხბურთელთა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ტურნირი. ჯგუფურმა მატჩებმა რვა საუკეთესო გუნდი გამოავლინა. პირველ მეოთხედფინალურ მატჩებში გუშინ ერთმანეთს შეხვდნენ რუსეთი — ჰოლანდია 0-3 და გერმანია — პორტუგალია 1-1 (პ. 5-6). დღეს თამაშობენ ჩეხეთი — ესპანეთი, საბერძნეთი — სლოვაკეთი. მატჩებს ემსახურება ქართველი არბიტრი ლევან ფანიაშვილი. აქვე ვიტყვით, რომ მეოთხედფინალში გასული საბერძნეთის ნაკრები თბილისში ჩატარებული შესარჩევი ტურნირის გამარჯვებულია.

11 მაისს ნახევარფინალური მატჩებია. 14 მაისს კი პრიზიორები გამოვლინდებიან.

### ისევ ბავშვთა ფეხბურთზე — რაკურსი

## და დარჩნენ ისევ ჩვენი შვილები უპატრონოდ...

***ჯემალ ქიპაშვილის წერილმა „მასობრივი „მამლუქობა“ საქართველოში“ (რომელიც ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა), ფეხბურთის მოყვარულთა გარკვეული ინტერესი გამოიწვია. შეგახსენებთ, რომ მასალა ეხებოდა ბავშვთა ფეხბურთში დღეს შექმნილ მდგომარეობას — საქართველოდან ფეხბურთელთა მიგრაცია „ყოველწლიურად იზრდება და... ახალგაზრდავდება. დიახ, ეს არის ყველაზე საგანგაშო“.***

***აი, რას გვწერენ:***

„სამი ბიჭი მყავს, ამათგან ორი ფეხბურთზე დადის — ეს „სიამოვნება“ ყოველთვიურად 30 ლარი მიჯდება. დაუმატეთ ახლა ამას სპორტული ფორმის, ბურთების, შეკრებების, ტურნირების თანხები... მოკლედ, გამატყავა ამ ფეხბურთმა, პირდაპირ, არ ვიცი, რა ვქნა. ერთი იმედიღა დამრჩა — მალე წამოიზარდონ, რომ სადმე საზღვარგარეთ, თუნდაც თურქულ კლუბში გავყიდო, ეს მათთვისაც კარგი იქნება და ოჯახსაც წაადგება...

კატეგორიულად არ ვეთანხმები „ლელოს“ ჟურნალისტს — ჩემს შვილს მე ვინახავ, ვაცმევ, ვაჭმევ და, სადაც მინდა იქ გავამწესებ. აი, სახელმწიფო რომ ხარჯავდეს ფულს მათ მომზადებაზე, სხვა საქმეა. ახლა კი, რა უფლებით შემოიღეს, თუ სურთ შემოიღონ, არასრულწლოვანთა მიგრაციის წინააღმდეგ ბარიერები. ხომ არ ფიქრობთ, რომ ეს კომისია კორუფციის კიდევ ერთი წყარო შეიქმნება საქართველოში?“

*მერაბ ჯიშკარიანი,*
*თბილისი, ვაზისუბანი, I მიკრ.-ნი*

* * *

„ფეხბურთი იზოლირებულად ვერ იარსებებს, რა მდგომარეობაშიცაა დღეს ქვეყანა, ის სიტუაციაცაა სპორტში, სახელდობრ, ფეხბურთში. სხვათა შორის, ბავშვთა ფეხბურთი რომ ასეთ გაჭირვებაში ჩავარდებოდა, მოსალოდნელი იყო და „მამლუქობის“ ცალკეული ფაქტები წინა წლებშიც გვხვდებოდა. აი, მაშინვე რომ განგაში აგვეტეხა, შეიძლებოდა აგვეცილებინა ეს უბედურება, თუმცა, ძნელი კი იქნებოდა. დარწმუნებული ვარ, რომ ანალოგიური პრობლემები შეექმნათ სხვა პოსტსაბჭოურ ქვეყნებშიც...

ვეთანხმები გაზეთს: ხელისუფლებამ და პარლამენტმა ისეთი კანონები უნდა მიიღოს, რომელიც წაახალისებს ბავშვთა ფეხბურთის განვითარებისათვის ჩადებულ ინვესტიციებს...“

*გიორგი მერაბიშვილი, კასპი*

* * *

„ჩვენში ძალიან დაუფასებელია მწვრთნელის, განსაკუთრებით ბავშვთა ფეხბურთში მოფუსფუსე ადამიანების შრომა. ვერ გავიგე თქვენი გაზეთის პოზიცია — რა, აყვედრით მათ თავიანთი შრომისათვის მიღებულ გასამრჯელოს? აბა, დაინტერესდით, რამდენს ღებულობენ მათი საზღვარგარეთელი კოლეგები?“

*კახაბერ ნერგაძე,*
*თბილისი, გლდანის მასივი, III მიკრ.*

* * *

„მინდა ერთი ამბავი მოგითხროთ და დასკვნები თვითონ გამოიტანეთ, რაოდენ ძნელია დღეს ბავშვთა ფეხბურთში მუშაობა და რამდენი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია თუ ცალკეული ჩინოვნიკი ხელს უშლის დღეს მის განვითარებას.

ჩემი შვილი, რომელიც საშუალო სკოლას ამთავრებს, თამაშობდა „მართვეში“. უპატრონოდ მიგდებული გუნდი იყო, დაშლის პირას მისული. ჰოდა, ზღაპარში რომ არის — გამოჩნდნენ საქმიანი ადამიანები, რომლებმაც ჩაიბარეს „მომაკვდავი“ კოლექტივი, შე-

იხ. მე-4 გვ.

**დიდი გუნდების მესაჭეები**

# მარჩელო ლიპი – ახალი „იუვენტუსის“ შემქმნელი

**მარჩელო ლიპი კარგა ხანს მეორეხარისხოვან იტალიურ კლუბებში მუშაობდა. მასზე და მის გუნდებზე თითქმის არავინ წერდა, არც მათი შედეგები აღელვებდა დიდად ვინმეს. ერთი სიტყვით, ყურადღებას არავინ აქცევდა და შეიძლება ისეც მომხდარიყო, რომ ლიპის სახელი დიდ ფეხბურთს არასოდეს დაკავშირებოდა. ზოგჯერ ძალიან აქებენ ხოლმე „მის უდიდებულესობა იღბალს“. ამ შემთხვევაში იღბალი ის იყო, რომ „პროვინციელი მწვრთნელი“ ლიპი ტურინის „იუვენტუსის“ მეპატრონემ, მულტიმილიონერმა ანიელიმ როგორღაც გამოარჩია და თავის კლუბში მიიწვია. მართალია, აქ იყო ერთი „მაგრამ“ – „იუვენტუსი“ მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე სახელოვანი კლუბი ისეთ ღრმა კრიზისში აღმოჩნდა, რომ მთელი ათი წელიწადი იტალიის ჩემპიონატში ერთხელაც ვერ გაიმარჯვა. ახლა კი ბედი ახალგაზრდა მწვრთნელს უნდა ეცადა.**

*მარჩელო ლიპი*

ის, რაც ლიპიმ „იუვენტუსში“ გააკეთა, პირდაპირ გასაოცარია. მან მუშაობა 1994 წელს დაიწყო. 1995, 1997, 1998 წლებში „ბებერი ქალბატონი“ იტალიის ჩემპიონი გახდა. 1995 წელს იტალიის თასს დაეუფლა, 1996 წელს უდიდესი წარმატება ჰქონდა — ჩემპიონთა თასს დაეუფლა, ორ მომდევნო წელს ამავე ლიგის ფინალურ მატჩში ითამაშა. 1996 წელს ევროპის სუპერთასი მოიპოვა, იმავე წელს ტოკიოში საკონტინენტთაშორისო თასსაც დაეუფლა. ამან ლიპის პირდაპირ „ჯადოქრის“ სახელი მოუპოვა, ისეთი წარმატებები ჰქონდა, რომ ნებისმიერ მწვრთნელს მთელი სიცოცხლის განმავლობაში ეყოფა. თუმცა, როგორც ჩვენში ამბობენ, ვარდი უეკლოდ ვის მოუკრეფია? აქამდე მხოლოდ ვარდებზე ვლაპარაკობდით, დანარჩენ ყველაფერზე კი თვით ლიპის მოვუსმინოთ, რომელიც სულაც არ გაურბის იტალიელ თუ უცხოელ ჟურნალისტებს. საუბარი, როგორც მკითხველი იოლად მიხვდება, შედგა ლიპის „იუვენტუსიდან“ მილანის „ინტერში“ გადასვლის შემდეგ.

● ***„ინტერი“ ისეთ პერიოდში ჩაიბარეთ, რომელსაც ბევრი ყველაზე უფრო მძიმედ თვლის მთელი მისი არსებობის მანძილზე. თქვენც ასე ფიქრობთ?***

— ყველაფერი კანონზომიერია. თითოეული მსხვილი კლუბი ზოგჯერ კრიზისს განიცდის. ასე იყო „მილანშიც“, სანამ შარშან სკუდეტო არ მოიპოვა. იგივე მოუვიდა „ინტერს“, რომლისთვისაც შარშანდელი სეზონი უაღრესად მარცხიანი აღმოჩნდა, მაგრამ რატომ უნდა ვუწოდოთ ამას ტრაგედია? ეს გახლავთ მხოლოდ რამდენიმე ეპიზოდი პიესიდან. „ინტერი“ კვლავ დიდ კლუბად რჩება, სადაც თითოეული წევრი მხოლოდ გამარჯვებისაკენ მიილტვის.

ხუთი მშვენიერი წელი გავატარე მეორე დიდ იტალიურ კლუბში და ახლა კვლავ თავიდან დავიწყე. ვიცი, რას მოელიან ჩემგან მილანში.

● ***იმ მომენტისათვის, როცა „იუვენტუსში“ დაიწყეთ მუშაობა, კლუბმა მთელი 10 წლის მანძილზე ვერ შეძლო იტალიის ჩემპიონობის მოპოვება. დღევანდელ „ინტერში“ მსგავსი სიტუაციაა, საყურადღებო პარალელია.***

— იმედი მაქვს, რომ „ინტერში“ იმას მივაღწევ, რაც მთელ დეკადაში ვერავინ გააკეთა.

● ***ვიერის გარდა „ინტერში“ „იუვენტუსის“ სხვა ყოფილი მოთამაშეებიც აღმოჩნდნენ. ასე, მაგალითად, გუნდიდან წასული პალიუკას ნაცვლად შეიძინეთ „იუვენტუსის“ გოლკიპერი პერუცი. რატომ?***

— მოდით, გაგიმხელთ ერთ საიდუმლოს. მორატიმ იმისთვის მიმიწვია, რომ პრაქტიკულად ცარიელ ადგილზე შევქმნა გუნდი. მაქვს ზოგიერთი იდეა, მათ შესასრულებლად კი ის მოთამაშეები მჭირდება, რომლებთანაც უნდა ვიმუშაო. ვესაუბრე მორატისაც მათზე. ბოლოს და ბოლოს, მთელი პასუხისმგებლობა მხოლოდ მე მეკისრება. ამიტომაც მოვუყარე თავი იმ ფეხბურთელებს, რომლებსაც იდეალურად ვთვლი ჩვენი მიზნების შესასრულებლად.

● ***„ინტერში“ თქვენი გზა კვლავ გადაეყარა რობერტო ბაჯოს. იგი, როგორც ჩანს, ამით კვლავ არ არის მაინცდამაინც აღტაცებული.***

— ძალიან დიდ პატივს ვცემ ამ ნამდვილად დიდ ფეხბურთელს. ამასთან, გაუთავებლად ვისმენ საყვედურს იმის შესახებ, რომ იგი ძალიან იშვიათად გამომყავს მინდორზე. აქ მინდა მათ ასე ვუპასუხო, გუნდი ხომ მხოლოდ ბაჯოსაგან არ შედგება. თამაშის გეგმას რომ ვადგენ, ვითვალისწინებ ყველა მოთამაშის მდგომარეობას. რაიმე პირადი მტრობა მის მიმართ არა მაქვს. როცა მან ორი მნიშვნელოვანი გოლი გაიტანა, პირველმა შევაქე.

● ***რა მოგცათ იმან, რომ ამ სეზონში ევროპული თასების გათამაშებაში არ „მონაწილეობდით“?***

— კარგი არაფერი. არავის უხარია, რომ ევროთასებში არ მონაწილეობს. თუკი მაღალი კლასის ფეხბურთელები გყავს, მათ, ბუნებრივია, სურთ პრესტიჟულ ტურნირებში გამოსვლა. მათთვის იოლი როდია თვალის დევნება, რომ სხვა იტალიური კლუბები ევროთასებზე თამაშობენ, ისინი კი არა. იმედი მაქვს, ასეთი ნეგატიური გამოცდილებიდანაც კი მივიღებთ რაღაც სარგებლობას. ამ საკითხზე სერიოზული საუბარი მქონდა მორატისთან, ვთხოვე „ინტერს“ თვეში ერთხელ მაინც ამხანაგური მატჩი ეთამაშა რომელიმე ძლიერ უცხოურ კლუბთან. მოთამაშეებს საერთაშორისო მატჩების სათანადო გამოცდილება უნდა ჰქონდეთ.

● ***რადგან ევროტურნირებში არ მონაწილეობთ, ალბათ, მოთამაშეების ნაკლები რაოდენობა გჭირდებათ.***

— ჩვენ გვჭირდება 22, მაქსიმუმ 23 ფეხბურთელი და არავითარ შემთხვევაში, ოცდაათი. მირჩევნია ხანდახან ახალგაზრდული გუნდიდან ორიოდე მოთამაშე გამოვიძახო, ვიდრე სათადარიგოთა სკამზე 7-8 გამოცდილი ფეხბურთელი მყავდეს. როგორ ფიქრობთ, რასა გრძნობენ ისინი, როცა მთელი კვირა ოფლს ღვრიან ვარჯიშზე და უსმენენ მწვრთნელს, რომელიც მათგან „სისხლს, ოფლსა და ცრემლებს“ მოითხოვს, შემდეგ კი 90 წუთი სათადარიგო სკამზე სხედან. არ შეიძლება ასე მოექცე პროფესიონალ ფეხბურთელს. მეორე მხრივ, ახალგაზრდული გუნდი უახლოესი რეზერვია, ამიტომ ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ყოველდღიურად აპიანო ჯენტილეს ბაზაზე ძირითად მოთამაშეებთან მუშაობაში. სამ-ოთხ ახალგაზრდას ვიმატებ. ეს მათ თამაშის საიდუმლოებების დაუფლების საშუალებას გაუადვილებს, მზად იქნებიან იმ დროისათვის, როდესაც დაგვჭირდებიან.

● ***რის მიღწევა გსურთ „ინტერში“?***

— დიდ კლუბებს დიდი ამბიციებიც აქვთ. იგივეს გავიმეორებ, რაც ადრე მითქვამს: მინდა შევქმნა გუნდი, რომელსაც გამარჯვებისადმი დაუოკებელი ლტოლვა ექნება. „იუვენტუსის“ ფეხბურთელებს ვეუბნებოდი: „თუ ამ თამაშს მოვიგებთ, ჩემპიონატშიც გავიმარჯვებთ“. სწორედ ასე! შარშან „ინტერს“ ყველა ტურნირის მოგება უნდოდა, მაგრამ ერთშიც ვერ გაიმარჯვა.

● ***ახლა ვიერიზე. ამბობდნენ, რომ „იუვენტუსში“ თქვენ დიდი ჩხუბი მოგივიდათ.***

— სწორედ ასე იყო. მაგრამ მაშინაც კი, იმ საღამოს, სადილზე ერთ მაგიდას ვუჯექით. როცა ვინმესთან ერთად დიდხანს ხართ, ბუნებრივია, შეხლა-შემოხლაც მოგივიდეთ. მაგრამ თუ აზრი ალალი გულით გამოხატეთ, მაშინ ყოველთვის შეიძლება ერთმანეთს გაუგოთ. თქვი, რაც გინდა, მაგრამ შემდეგ იგი მუშაობით უნდა დაამტკიცო. ვიერიმ თქვა, რომ მას უნდა მხოლოდ ფეხბურთზე კონცენტრირება. ახლა განვაახლეთ ურთიერთობა.

● ***კვლავ „იუვენტუსს“ დავუბრუნდეთ. შეგიძლიათ მოგვიყვეთ, რა მოხდა 12 თებერვლის იმ სამარცხვინო საღამოს „პარმასთან“ თამაშის შემდეგ? (რის შემდეგაც ლიპიმ „იუვენტუსი“ დატოვა).***

— ნამდვილად კოშმარული საღამო იყო. მოთამაშეებს ვუთხარი, დეე, ამიერიდან ყველამ იცოდეს, მე თუ გიქმნით პრობლემებს, წავალ. შემდეგ დავუმატე: „ნამდვილად არ დამიმსახურებია ასეთი გამოთხოვება“. გაიხსენეთ, წინა მატჩი „კალიარისთან“ წავაგეთ, თუმცა მეტოქის საჯარიმოს არ მოვშორებივართ. ვერ გავიგე, როგორ შეიძლებოდა ასეთი მატჩის წაგება. იგივე მოხდა იანვარში „მილანთან“, სადაც მოგებას რაღაც „მილიმეტრი“ თუ გვაშორებდა. ახლა კი, ისტორია „პარმასთანაც“ გამეორდა. პირველებმა გავიტანეთ გოლი, შემდეგ ყველაფერი მოგვეშალა. ვერ მივაგენი მომხდარის ნორმალურ ახსნას. მოულოდნელად ისეთი შთაბეჭდილება შემექმნა, თითქოს ყველას უნდოდა ჩემი გუნდიდან წასვლა. მეც ავდექი და წავედი. რა თქმა უნდა, გადაწყვეტილება „იუვენტუსის“ დატოვების შესახებ უფრო ადრე მივიღე, მაგრამ ნავარაუდევი იყო, რომ ამას სეზონის დამთავრების შემდეგ გავაკეთებდი. ისე კი, გულახდილად გეტყვით, ამაზე ფიქრი ჯერ კიდევ 1998 წლის მარტში დავიწყე. წავედი კლუბის პატრონ ჯანი ანიელისთან და ავუხსენი, რომ „იუვენტუსის“ დატოვება კონტრაქტის დასრულებამდე, ერთი წლით ადრე მინდოდა. ვგრძნობდი, რომ გუნდთან ერთად მოვიგე ყველაფერი, რისი მოგებაც კი შეიძლებოდა. გადაწყვეტილება კლუბის დატოვების შესახებ ჩემთვისაც კარგი იქნებოდა და მოთამაშეებისთვისაც. „იუვენტუსმა“ კონტრაქტის გაგრძელება შემომთავაზა, მაგრამ ახალი ამოცანების გადაწყვეტა მიზიდავდა. ბევრი მიწვევა მქონდა უცხოეთის კლუბებიდან, მათ შორის მადრიდის „რეალისა“ და „გლაზგო რეინჯერსისაგან“, „იუვენტუსს“ კი უნდოდა, რომ კონტრაქტის ბოლომდე დავრჩენილიყავი.

● ***თქვენ კი „ფიორენტინასთან“ მატჩის წინ გამოაცხადეთ საბოლოო გადაწყვეტილების შესახებ?***

— დიახ, სწორედ ასე მოხდა. ამის გამო საკმაოდ მკაცრად გამაკრიტიკეს. ყველაზე მეტად კი ის მეწყინა, რომ თურმე ასე ადრე იმიტომ განმიცხადებია გუნდიდან წასვლის შესახებ, რომ 4-5 მოთამაშე თან წამეყვანა. ამაში კლუბის ღალატს ხედავდნენ. მდგომარეობა „იუვენტუსში“ ისე გამწვავდა, რომ ნაყოფიერი მუშაობის გაგრძელება უკვე შეუძლებელი გახდა.

● ***რატომ თამაშობდა თქვენს დროს „იუვენტუსი“ ასე მშვენივრად და მძლავრად?***

— იმიტომ, რომ ჩვენ ყოველ თამაშში მეტსაც კი ვაქსოვდით, ვიდრე გვქონდა. მაშინაც კი, როცა მეტოქეები ჩვენზე გაცილებით უფრო ტექნიკურად თამაშობდნენ მთელი ამ წლების განმავლობაში. „იუვენტუსი“ ძლიერი ნებისყოფის გუნდი იყო. არა მგონია, რომ ჩემმა გადაწყვეტილებამ, წავსულიყავი კლუბიდან, მის შემდგომ შედეგებზე ემოქმედა. მაშინ, როცა დელ პიერომ „უდინეზესთან“ ტრავმა მიიღო, სატურნირო ცხრილის სათავეში ვიყავით. მაგრამ ეს იყო დასასრულის დასაწყისი. შემდეგ დაშავდნენ არა მარტო დელ პიერო და ინძაგი, სხვა წამყვანი მოთამაშეებიც.

● ***როგორი უნდა იყოს მწვრთნელი მოთამაშეების მიმართ?***

— იგი უნდა იყოს მასწავლებელი, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. არც უფროსი ძმა, არც მამა — მხოლოდ და მხოლოდ მასწავლებელი.

მოამზადა
**ბიჩი თორელმა**

2002
FIFA WORLD CUP
KOREA JAPAN

### 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი აფრიკის ზონაში

**A ჯგუფი**
ანგოლა, ზამბია, ლიბია, კამერუნი, ტოგო.
**B ჯგუფი**
ნიგერია, სიერა ლეონე, სუდანი, ლიბერია, განა.
**C ჯგუფი**
ალჟირი, სენეგალი, ნამიბია, მაროკო, ეგვიპტე.
**D ჯგუფი**
მადაგასკარი, კონგოს დ.რ., კოტ დიუარი, ტუნისი, კონგო.
**E ჯგუფი**
გვინეა, ზიმბაბვე, მალავი, ბურკინა ფასო, სამხ. აფრიკა.

**ჯგუფებში** პირველ ადგილზე გასული გუნდები გადიან 2002 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალურ სტადიაში.

**მატჩები** გაიმართება 2000 წლის 16 ივნისიდან — 2001 წლის 29 ივლისამდე.

## საზღვარგარეთის ფეხბურთის ამბები

### ვინ შეცვლის გუცაევს?

მას შემდეგ, რაც ვლადიმერ გუცაევმა „ალანია“ დატოვა, ადგილობრივი გულშემატკივრები და ჟურნალისტები განიხილავენ მისი შესაძლებელი შემცვლელის საკითხს. კვლავ ასახელებენ ვიაჩესლავ გროზნის (მოსკოვის „სპარტაკის“ მეორე მწვრთნელი) კანდიდატურას, რომლის შესახებაც ზაფხულშიც იყო ლაპარაკი. ზოგი მიიჩნევს, რომ უპირატესობა რომელიმე ადგილობრივ სპეციალისტს მიენიჭება, ვთქვათ, იური გაზაევს. დროებით კი გუნდს ალექსანდრ იანოვსკი (წარსულში ცნობილი მეკარე) ავარჯიშებს.

ჟურნალისტებმა რამდენიმე კითხვა მისცეს საფეხბურთო კლუბ „ალანიას“ პრეზიდენტ სერგეი ტაკოევს.

● ***გვითხარით, თუ შეიძლება, რა ხდება?***

— რა ხდება? გუნდი მარცხიანად გამოდის, ჯერჯერობით იანოვსკის ეხმარება როგორც ვეტერანი და კაპიტანი — ბახვა თედეევი.

● ***იმის შემდეგ, რაც მოხდა, შეიძლება გუცაევი გუნდს დაუბრუნდეს?***

— მოხდენით შეიძლება ყველაფერი მოხდეს. ისე კი, ჩემი აზრით, აუცილებელია ცვლილებები.

● ***მოუსმენთ თუ არა გუცაევს კლუბის მზრუნველთა საბჭოს სხდომაზე?***

— აუცილებლად.

როგორც „ალანიის“ ყოფილმა მწვრთნელმა, ახლა კი მოსკოვის „დინამოს“ ხელმძღვანელმა ვალერი გაზაევმა განაცხადა, ახლა, როცა გუნდს ასე გაუჭირდა, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება მისთვის ზურგის შექცევა.

### „ასტონ ვილა“? არც გამიგონია!

**მას შემდეგ, რაც „მანჩესტერ იუნაიტედმა“ „ჩელსიდან“ ნორვეგიელი ტორე-ანდრე ფლო მიიწვია, მიმომხილველებმა ჩათვალეს, რომ ჩემპიონს იმაზე მეტი თავდამსხმელი ეყოლება, ვიდრე საჭიროა. ვიღაც უნდა წავიდეს, მაგრამ ვინ. ზოგი ფიქრობს, რომ ეს ენდი კოული უნდა იყოს.**

**ჟურნალისტებმა „მოუძებნეს“ კიდეც ენდის ახალი კლუბი — ბირმინგემის „ასტონ ვილა“. თვით კოულმა ძალზე შორს დაიჭირა, „მანჩესტერის“ დატოვებას არც კი ფიქრობს:**

**— „ასტონ ვილა“? არც გამიგონია! სადაური კლუბია?**

### ნიჭიერი უმცროსი ძმა

ედი ბაჯო განთქმულ ფეხბურთელ რობერტო ბაჯოს უმცროსი ძმა, მასზე 7 წლით უმცროსია და მოთამაშეები „ბაჯინოს“ ეძახიან. იგი, გასაგებია, თავისი სახელოვანი ძმის ჩრდილში იმყოფებოდა, მაგრამ ახლა, როცა რობერტო „ინტერში“ თითქმის არ თამაშობს, „ბაჯინომ“ დიდი ყურადღება მიიპყრო.

ედი მესამე იტალიურ ლიგაში, სერია C-ში გამოდის, სადაც 1999 წლის იანვრიდან დეკემბრამდე ჯერ „ანკონაში“, შემდეგ კი „ასკოლიში“ 24 გოლი გაიტანა და ახალი სეზონიდან, როგორც ფიქრობენ, უკვე სერია A-ში ითამაშებს.

### „ფორო ოლიმპიკო“ იყიდება

**მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი სტადიონი „ფორო ოლიმპიკო“ ანუ რომის ოლიმპიური სტადიონი, რომელზეც საშინაო მატჩებს ატარებენ „რომა“ და „ლაციო“, წელს 495 ათას დოლარად იყიდება. მას ერთობლივად სწორედ ეს ორი ცნობილი კლუბი ყიდის. „ფორო ოლიმპიკო“ ჯერ კიდევ 1931 წელს აშენდა. თავისი თითქმის 70-იანი წლის ისტორიაში იქ ჩატარდა მსოფლიო ჩემპიონატი ფეხბურთში, 1960 წლის ოლიმპიადა, ჩემპიონთა ლიგის ფინალი, იტალიის ღია პირველობები ჩოგბურთში.**

### ნორვეგიაში პირველი იყო, ახლა?

ყველაზე უფრო ცნობილი ნორვეგიელი მწვრთნელი ეგილ ულსენი სულ ცოტა ხანს იყო ინგლისის პრემიერ-ლიგის კლუბ „უიმბლდონის“ სათავეში. იგი სუსტი შედეგების გამო განთავისუფლებულია. თვით ულსენისათვის ეს განთავისუფლება გაუგებარია:

— მე ხომ ამდენი ახალი იდეა მქონდა — განაცხადა მან.

### ნევიო სკალა კვლავ გამოჩნდა

**ცნობილი იტალიელი მწვრთნელი ნევიო სკალა, ადრე წარმატებით მუშაობდა „სერია A“-ს კლუბებში, შემდეგ კი გერმანიაში გადავიდა, კარგა ხნით უმუშევარი დარჩა.**

**ახლა მან გადაწყვიტა კარიერა თურქეთში გააგრძელოს და სათავეში ჩაუდგა სტამბოლის „ბეშიქთაშს“.**

### ეჭყობა, „ტოტენჰემში“

ხანგრძლივი დავა სხვადასხვა ინგლისურ კლუბს შორის, რომლებსაც კიევის „დინამოსაგან“ სერგეი რებროვის ყიდვა სურთ, დასასრულს მიუახლოვდა.

კიევში იმყოფება ლონდონის „ტოტენჰემ ჰოტსპურის“ წარმომადგენელი დევიდ პლიტი, რომელმაც „დინამოსა“ და უკრაინის ნაკრების წამყვან თავდამსხმელთან უნდა გააფორმოს ხელშეკრულება.

### სანქციები მკაცრია

**იმის გამო, რომ „ბარსელონამ“ ესპანეთის თასზე მადრიდის „ატლეტიკოსთან“ თავისი პირობების დაუკმაყოფილებლობის საბაბით თამაშზე უარი განაცხადა, მის მიმართ მიღებულია შემდეგი სანქციები: „ბარსელონა“ მოხსნილია თასის წლევანდელი გათამაშებიდან და ამ შეჯიბრებაში ვერც გაისად მიიღებს მონაწილეობას.**

**მართალია, „ბარსელონამ“ ეს გადაწყვეტილება გააპროტესტა, და უარეს შემთხვევაში, ამ სანქციების შემსუბუქებას მაინც ელის.**

## ვეტერანები

# კიდევ ერთი ჯორჯიკია...

დარწმუნებული ვართ, სპორტის გულშემატკივრებს რომ დაეკითხოთ – „ვინ იყო ჯორჯიკია?", ასიდან, ალბათ, ოთხმოცდაცხრამეტი გიპასუხებთ: „კალათბურთელი!"

ცხადია, თბილისის „დინამოს" შესანიშნავი კალათბურთელი, სპორტის დამსახურებული ოსტატი ნოდარ ჯორჯიკია იგულისხმება. არადა, დიდ ქართულ სპორტს ხომ კიდევ ერთი ჯორჯიკია ჰყავდა – ფეხბურთელი ტიტე ჯორჯიკია, თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის ომამდელი შემადგენლობის ნიჭიერი თავდამსხმელი. იგი მარცხენა შუამარბად (ინსაიდად) თამაშობდა ბორის პაიჭაძესთან, გაიოზ ჯეჯელავასთან, მიხეილ ბერძენიშვილთან, თენგიზ გავაშელთან, ასლან ხარბედიასთან, ვიქტორ ბერეჟნოისთან, ლური ლოლაძესთან და სხვებთან ერთად. ფოთის მადლიან მიწა-წყალზე იყო გაზრდილი ისიც. საქართველოს უპირველეს გუნდში – თბილისის „დინამოში" 1939 წელს გამოჩნდა თავის ფოთელ მეგობრებთან ასლან ხარბედიასთან და ალექსანდრე მინჯიასთან ერთად. საერთო ენის გამონახვა არ გასჭირვებია მათთან, ისევე როგორც ბორის პაიჭაძესთან, გრიგოლ გაგუასთან, გვაჩი ჯორბენაძესთან, ვლადიმერ ბერძენიშვილთან, მასავით მშობლიური ფოთის „დინამოში" რომ გამოდიოდნენ.


ფოთის „დინამო" 1933 წელს – (მარცხნიდან) ვანო მიქაძე, ხუტა ქოიავა, ვანიჩკა კინწურაშვილი, ვლადიმერ ბერძენიშვილი, კაკო იმნაძე, გრიგოლ გაგუა, ბორის პაიჭაძე, აკაკი ჟღენტი, საშა ელიავა, ტიტე ჯორჯიკია, ვლადიმერ („გვაჩი") ჯორბენაძე, ალექსანდრე მინჯია, სტიპა მარკევიჩი, ეფრემ („პაპაშა") ლაითაძე, კოტე გუნია

ჩინებული მწვრთნელის მიხაილ ბუტუსოვის ხელში მოხვდა 21 წლის ახალგაზრდა ტ. ჯორჯიკია. თავდასხმის ხაზში ირგვლივ ძველი მეგობრები და თანაგუნდელები ჰყავდა ტიტეს: მარჯვნივ ბორია იყო, მარცხნივ – ასლანი, ზურგიდან კი ბურთებით გვაჩი და გრიშა ამარაგებდნენ. პირველსავე სეზონში თორმეტჯერ გამოიყვანეს სათამაშოდ – თითქმის ყოველ მეორე მატჩში. მომდევნო წელს კი – 8 მატჩი ითამაშა და პირველი (სამწუხაროდ, უკანასკნელი) ბურთიც გაიტანა. აღსანიშნავია, რომ იმ ორივე სეზონში დინამოელებმა მანამდე არნახულ წარმატებას მიაღწიეს – მეორე ადგილებზე გავიდნენ ორივეჯერ: ჯერ მხოლოდ მოსკოველ სპარტაკელებს ჩამორჩნენ, მერე კი მოსკოველ დინამოელებს. შეგახსენებთ, რომ წინა ორ სეზონში ჩვენი „დინამო" საკმაოდ ულიმღამოდ თამაშობდა და შესაბამისად IV და VI ადგილებზე გავიდა.


ვახტანგ ქუციას შარჟი

... ამბობდნენ, ძველ ფოთში იმდენი საფეხბურთო მინდორი იყოო, რამდენიც უბანი ქალაქში. რა თქმა უნდა, პატარა ტიტეს არ გასჭირვებია საკუთარი „სტადიონის" მოძებნა – საითკენაც გაიხედავდა, ბიჭები ყველგან დასდევდნენ ბურთს. უბანი უბანს ეჯიბრებოდა, სკოლა – სკოლას, ტექნიკუმი – ტექნიკუმს. ტიტე მშობლიური უბნის – „პარკის" გუნდის ღირსებას იცავდა და „ოფიციალურ" მატჩებში რეგულარულად ხვდებოდა სხვა უბნების – „ნახუტურის", „ნაბადას", „ახალსოფლისა" და „ოსტროვის" თანატოლებს. მერე ყველანი პატარა მდინარე კაბარჭინაში გადაეშვებოდნენ, პალიასტომის ტბიდან რომ გამოდის და შავ ზღვაში ჩადის. ნებივრობა ახლა ზღვის ტალღებზე გრძელდებოდა.

ტიტე ჯორჯიკია 1934 წელს ფოთის სუბტროპიკული ტექნიკუმის მოსწავლე გახდა და უკვე მის ღირსებას იცავდა. ორი წლის შემდეგ მან თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გააგრძელა სწავლა და, ცხადია, უნივერსიტეტელ ფეხბურთელთა გუნდის მაისური ჩაიცვა. გუნდს გამოცდილი მწვრთნელი, მოგვიანებით კი ცნობილი თბილისელი მსაჯი ბორის სკოზნიევი ავარჯიშებდა. საკმაოდ ძლიერმა შემადგენლობამ მოიყარა თავი ამ კოლექტივში – მეკარე რევაზ კავსაძემ, მცველმა შოთა ჯოჯუამ, თავდამსხმელებმა ვანიჩკა კინწურაშვილმა, გავრო ბოგატელომ, გრიშა ელიაზაროვმა და სხვებმა.

1938 წელს თბილისის გუნდმა „მოლოტმა" („ურო") ჭაბუკთა საკავშირო პირველობა მოიპოვა მოსკოვში. ამ გუნდშიც ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელი თამაშობდა, რომლებიც მერე თბილისის „დინამოს" ღირსებას იცავდნენ. გადაწყდა, რომ უნივერსიტეტის გუნდს დაუმარცხებელი „მოლოტი" გამოეწვია საასპარეზოდ. მატჩისადმი ინტერესი (იგი ნოემბერში გაიმართა) იმდენად დიდი იყო, რომ იგი „დინამოს" სტადიონზე ჩაატარეს. გულშემატკივრები საინტერესო, დაძაბულ ბრძოლას მოელოდნენ. ვარაუდი არ გამართლდა. უნივერსიტეტელებმა გამანადგურებელი ანგარიშით 7-0 მოუგეს სახელგანთქმული თბილისელი მწვრთნელის ასირ გალპერინის გუნდს. ამ დღეს განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი ფოთელებმა: ცენტრალურმა თავდამსხმელმა ა. ხარბედიამ სამი ბურთი გაიტანა, მარცხენა ინსაიდმა ტ. ჯორჯიკიამ – ორი. მთავარი კი მაინც წინ იყო. საქმე ისაა, რომ ამ შეხვედრას ესწრებოდა თბილისის „დინამოს" ახალი უფროსი მწვრთნელი, ლენინგრადელი მიხაილ ბუტუსოვი. მას ისე მოეწონა ხარბედია და ჯორჯიკია, რომ ორივეს „დინამოში" გადმოსვლა შესთავაზა. ცხადია, ახალგაზრდა ფეხბურთელებისათვის ეს დიდი პატივი იყო, მაგრამ თავდაპირველად ორივემ თავი შეიკავა – სწავლას მოვცდებითო. უნივერსიტეტში ისინი ეკონომიკის ფაკულტეტზე სწავლობდნენ: ტიტე – მესამე კურსზე, ასლანი – მეორეზე. მ. ბუტუსოვმა მოსალაპარაკებლად ძველი ფოთელი ბორის პაიჭაძე მიუგზავნა ახალგაზრდებს. სჯაბაასის შედეგად გადაწყდა, რომ ისინი განთავისუფლებულნი იქნებოდნენ ხანგრძლივი შეკრებებიდან, რომლებიც თბილისის მოშორებით გაიმართებოდა. „მხარეები", რომ იტყვიან, მტკიცედ შეთანხმდნენ ამაზე და მეორე დღეს ტიტე და ასლანი ბესიკის ქუჩაზე „დინამოს" სპორტულ დარბაზს ეწვივნენ. იქვე პირველად მოირგეს თბილისის დინამოელთა ტრადიციული თეთრ-ცისფერი მაისურები და ვარჯიშს შეუდგნენ.

ტიტე ჯორჯიკია 1941 წლის საფეხბურთო სეზონის წინ

მოხდა ისე, რომ ახალ 1939 წლის საფეხბურთო სეზონში თბილისის „დინამომ" პირველი ექვსი შეხვედრა თბილისში ჩაატარა. წარმოიდგინეთ, ექვსივე თამაშში მ. ბუტუსოვმა მარცხენა შუამარბად დინამოელთა დებიუტანტი ტიტე ჯორჯიკია გამოიყვანა. მან ამ ადგილზე გამოცდილი ვიქტორ ბერეჟნოი შეცვალა. მწვრთნელი არც შემცდარა – ტიტემ მშვენივრად აუბა მხარი ბ. პაიჭაძესა და ა. ხარბედიას და მაყურებელთა დიდი მოწონება დაიმსახურა.

სწორედ ასლან ხარბედიას ვთხოვეთ, ამას წინათ, ტიტე ჯორჯიკიას შესახებ ეთქვა ორიოდე სიტყვა:

– მე და ტიტემ უნივერსიტეტის გუნდში ორი სეზონი ვითამაშეთ ერთად და, რომ იტყვიან, თვალდახუჭულნი ვუგებდით ერთმანეთს. როგორც ინსაიდი, იგი, „ცხადია, ოდნავ უკანდახეული თამაშობდა და მუდამ დროულად გვამარაგებდა ბურთებით წინ წაწეულ ფორვარდებს – მე და პაიჭაძეს. ზუსტი გადაცემების იშვიათი ოსტატი იყო, განსაკუთრებით კარგად თამაშობდა მარცხენა ფეხით – ზუსტად, ძლიერად ურტყამდა ბურთს. ამიტომ იყო, რომ მისი პირველივე სეზონის პირველ მატჩებში მწვრთნელებმა იგი გამოცდილ ვიქტორ ბერეჟნოის ამჯობინეს. იმ წელს ტიტემ კიდევ ექვსი მატჩი ჩაატარა. აი, მეორე წრეში, თუ არ ვცდები, ერთხელაც არ გამოსულა სათამაშოდ – როგორც მახსოვს, ფეხის კუნთი გაეჭიმა.

ზემოთ უკვე მოგახსენეთ, რომ ტიტე ჯორჯიკიამ თავის მეორე სეზონში დიდ ფეხბურთში 8 შეხვედრა ჩაატარა და მეორედ გახდა ჩემპიონატის მეორე პრიზიორი. სამწუხაროდ, მაშინ ფეხბურთელებს არ აჯილდოებდნენ მედლებით.

წარმატებით დაიწყო თბილისის „დინამომ" 1941 წლის გათამაშება. ჩვენს წინ დევს თბილისში, „დინამოს" სტადიონზე გამოცემული ძველი საფეხბურთო ცნობარი-კალენდარი. იგი ძველმა ფეხბურთელმა, დინამოელთა მეკარემ – რევაზ კავსაძემ მაჩუქა 15 წლის წინათ. ნაცრისფერ ქაღალდზეა დაბეჭდილი 10000 ტირაჟით. ეს მართლაც უნიკალური ბროშურაა, წარმოიდგინეთ, ორმაგი გაგებით.

საქმე ისაა, რომ თავისთავად იგი ძველია, ექვსი ათეული წლის წინათაა გამოცემული და მეორეც, რაც მთავარია, ბატონ რეზოს მასზე ამაღელვებელი წარწერები გაუკეთებია. მოვყვეთ თავიდან. ცნობარის დასაწყისში აღნიშნულია, რომ 1941 წლის გათამაშებაში ბოლო ადგილზე გამოსული გუნდი აღარ მიიღებს მონაწილეობას 1942 წლის ჩემპიონატში. რა იცოდნენ მაშინ, რომ 1942 წლის ჩემპიონატს, ისევე როგორც 1943 და 1944 წლებისას, არ ეწერა გამართვა დიდი ომის გამო. მივადევნოთ თვალი რ. კავსაძის ხელით ჩაწერილ ანგარიშებსაც: 27 აპრილი, თბილისის „დინამო" – სტალინოს „სტახანოვეცი" – 3-0 (2) ქულა; 3 მაისი, „დინამო" (თბ) – „დინამო" (მინსკი) – 3-0 (4 ქულა); 11 მაისი, „დინამო" (თბ) – „პროფკავშირები-2" (მოსკოვი) – 1-0 (6ქულა); 18 მაისი, „დინამო" (თბ) – „ტრაქტორი" (სტალინგრადი) – 1-1 (7 ქულა); 24 მაისი, „დინამო" (კიევი) – „დინამო" (თბ) – 3-0 (7 ქულა); 29 მაისი, „ზენიტი" (ლენინგრადი) – „დინამო" (თბ) – 2-2 (8ქულა); 1 ივნისი, „სპარტაკი" (ლენინგრადი) – „დინამო" (თბ) – 1-4 (10ქულა); 13 ივნისი, „დინამო" (თბ) – „პროფკავშირები-1" (მოსკოვი) – 3-2 (12ქულა); 19 ივნისი, „დინამო" (თბ) – „სპარტაკი" (ოდესა) – 2-2 (13 ქულა); 24 ივნისი, „დინამო" (თბ) – „დინამო" (ლენინგრადი) – 3-2 (15ქულა).

იქვე ბატონ რეზოს მიუწერია გაკრული ხელით: „ეს უკანასკნელი შეხვედრაა პირველობაზე. ომი! გათამაშება არ დასრულებულა. ჩვენი „დინამო" მოსკოველ თანაკლუბელებთან ერთად ლიდერობს ჩემპიონატს 15 ქულით (ბურთები 22-13)".

ორი დღის შემდეგ – 26 ივნისის კალენდარზე ჩვენს მეკარეს ასეთი წარწერა გაუკეთებია: „წავედი ფრონტზე!". შემდეგ გადაშლილია კალენდრის მომდევნო თამაშები – შეხვედრები ხარკოვის „სპარტაკთან", ცდკასთან, მოსკოვის „დინამოსთან" (რითაც თავდებოდა პირველი წრე).

ვინ იცის, როგორ დამთავრდებოდა ის ჩემპიონატი? მოიპოვებდა თუ არა თბილისის „დინამო" ბოლოს და ბოლოს, ჩემპიონის წოდებას, რომლისთვისაც წინა ორ გათამაშებაში სულ ერთი ნაბიჯიღა დააკლდა. ყოველ შემთხვევაში, იმ წელს ჩვენი ფეხბურთელები, და მათ შორის გუნდის ახალგაზრდა (23 წლის) მარცხენა შუამარბი ტიტე ჯორჯიკია საუკეთესო სპორტულ ფორმაში იყვნენ. მართლაცდა, ომი რომ არა, ეგებ ჩვენს გულშემატკივრებს ქართული ფეხბურთის პირველი დიდი გამარჯვება ეზეიმათ მთელი 23 წლით ადრე – 1941 წლის 8 ნოემბერს, მოსკოვის დინამოელებთან მეორე წრის შეხვედრის დღეს თბილისის „დინამოს" სტადიონზე და არა ცხრა მთას იქით, შორეულ ტაშკენტში, 1964 წლის 18 ნოემბერს უზბეკეთის დედაქალაქის „ფახთაქორის" სტადიონზე. გვერწმუნეთ, თბილისური შემოდგომა არანაკლებ დიდებული იქნებოდა, ვიდრე ეს უზბეკეთის დედაქალაქში იცის!

ბოდიშს ვითხოვთ, რომ რამდენადმე გადავუხვიეთ თემას, მაგრამ ვფიქრობთ, რომ „ლელოს" მკითხველი და თავად ტიტე ჯორჯიკია გვაპატიებენ ყოველივეს. ჩვენ კი ისღა დაგვრჩენია, ჯანმრთელობა და სიმხნევე ვუსურვოთ 82 წლის ტიტე ჯორჯიკიას, რომელიც თავის სახელოვან თანაგუნდელებთან – გაიოზ ჯეჯელავასთან, გრიგოლ გაგუასთან, ასლან ხარბედიასთან, გივი იოსელიანთან ერთად ქართული ფეხბურთის მოყვარულებს კვლავ მშობლიური თბილისის „დინამოს" გუნდის საპატიო წევრად მიგვაჩნია.

**ოთარ ნოზაძე**

*ფოტოები ავტორის არქივიდან.*

# ხსოვნის ტურნირი

„ირაოს" სპორტულ კომპლექსში ჩატარდა საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების წევრის, ტრაგიკულად დაღუპული ფეხბურთელის გურამ ლორთქიფანიძის ხსოვნის ტრადიციული ტურნირი. შეჯიბრების ორგანიზატორები იყვნენ დაღუპული ფეხბურთელის მეგობრები. ტურნირში მონაწილეობდა 1987 წელს დაბადებულ ფეხბურთელთა 4 გუნდი. პირველობა მოიპოვა თბილისის ოლიმპიკმა (მთავარი მწვრთნელი გელა გომელაური). მონაწილე გუნდებს გადაეცათ სამახსოვრო პრიზები. საუკეთესო ფეხბურთელისა და ბომბარდირის პრიზი ხვდა დევდარიანს, საუკეთესო მეკარისა – აბუთიძეს (ორივე – ოლიმპიკი). პერსპექტიული ფეხბურთელისა – ელიზბარაშვილს (ნორჩი დინამოელი), კერესელიძეს და ბიბილაშვილს (ორივე – ავაზა), თარგამაძეს (35-ე სკოლა), საუკეთესო მცველისა – კაკაბაძეს (ოლიმპიკი).

# კითხვა-პასუხი

ვიცით, რომ სფფ მიზანმიმართულად ზრუნავს ფეხბურთის სფეროში დასაქმებული კადრების კვალიფიკაციის ამაღლებაზე. გვაინტერესებს, კონკრეტულად რა მუშაობაა გაწეული და რა იგეგმება ახლო მომავალში.

*ვლადიმერ ნიშნიანიძე, ქუთაისი*

***სფფ-ს შესაბამის კომიტეტებში მოვიპოვეთ მნიშვნელოვანი ინფორმაცია, რომელიც, ვფიქრობთ, დააკმაყოფილებს თქვენს ცნობისმოყვარეობას.***

***ასე მაგალითად:***

***– სფფ-მ დააფინანსა 14 ქართველი მწვრთნელის სწავლება კოვერჩიანოს (იტალია) მსოფლიოში სახელგანთქმულ სამწვრთნელო ცენტრში.***

***– სფფ-მ მსოფლიოში სახელგანთქმული სპეციალისტების მეშვეობით (ალექს პონე, ფრანკო ფერარი) მწვრთნელებისათვის და არბიტრებისათვის კვალიფიკაციის ასამაღლებლად თბილისში ჩაატარა პროგრეს-კურსები.***

***– მიღწეულია შეთანხმება, რომ ივლისში მოსკოვში, ე.წ. „მომავლის კურსებზე", სფფ მიავლენს 3 ადმინისტრაციულ, 3 მედიცინის მუშაკს, 4 მწვრთნელს და 4 არბიტრს კვალიფიკაციის ასამაღლებლად.***

***– მიღწეულია შეთანხმება, რომ თბილისში სფფ-სა და კლუბების ადმინისტრაციისა და სამედიცინო მუშაკებისათვის დეკემბერში ჩატარდეს პროგრეს-კურსები.***

***– ჩამოყალიბდა მწვრთნელთა საბჭო, რომელიც ორგანიზაციული საკითხების მოგვარებაში ეხმარება ნაკრები გუნდების მწვრთნელებს.***

***– სფფ ყოველწლიურად, წელიწადში ორჯერ, ატარებს მსაჯთა კვალიფიკაციის ასამაღლებელ კურსებს.***


ჩაწერეთ საქართველოს XI ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე „სიონის" ფეხბურთელთა გვარები, ადმინისტრაცია (განაცხადის მიხედვით)

## ფორმულა-1

# ქუდბედიანი კულტჰარდი...



ავიაკატასტროფაში სასწაულებრივად გადარჩენილი ცნობილი შოტლანდიელი პილოტი დევიდ კულტჰარდი კვირას ბარსელონაში ფორმულა-1-ის მეხუთე ეტაპზე კვლავ იხილა მაყურებელმა და ამით საბოლოოდ გაქარწყლდა ეჭვები, თითქოს მძიმე სტრესში მყოფი მრბოლი ამ ეტაპს გამოტოვებდა, მაკლარენში სათადარიგო პილოტიც იყო შერჩეული.

ესპანეთის გრან-პრიზე, რომელიც მსოფლიო ჩემპიონატის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპია, ბევრი რამ იყო დამოკიდებული. პილოტების პირველობაში, მართალია, ძნელი იყო გარდატეხის შეტანა — აქ მიხაელ შუმახერი ლიდერობს დამაჯერებლად, სამაგიეროდ, კონსტრუქტორების ჩემპიონატში შეიძლებოდა წინ წამოწევა და ამის დიდი შანსი გააჩნდა მაკლარენს, რასაც მიაღწია კიდეც. ფინიშის ხაზი ერთმანეთის მიყოლებით სწორედ მაკლარენის პილოტებმა მიკა ჰაკინენმა 01:33,50 და დევიდ კულტჰარდმა — 01:34,06 გადაკვეთეს, რუბენს ბრიჩელი ფერარიდან მესამე იყო 01:34,19, რამაც საერთო ჩათვლაში ფერარს ლიდერობის შენარჩუნების შესაძლებლობა მისცა. მაკლარენი მეორე ადგილზეა და საგრძნობლად მიუახლოვდა ლიდერს. სამაგიეროდ, ორივეს დიდი სხვაობით ჩამორჩება მესამე ადგილზე მყოფი უილიამსი, ჯორდანი (მე-4), ბენეტონი (5), ბარი (6) და ზაუბერი კი ძალიან შორს არიან მათგან.

პილოტების ჩემპიონატში კვლავ ლიდერობს მიხაელ შუმახერი — 36 ქულა. შემდეგი ადგილები ასე ნაწილდება: 2. მიკა ჰაკინენი (22), 3. დევიდ კულტჰარდი — 20, 4. რუბენს ბარიჩელი (13), 5. რალფ შუმახერი (12). 6. ჯანკარლო ფიციკელა (8), 7. ჟაკ ვილნევი (5), 8. ჰაინც ფრენცენი (5), 9. იარნო ტრული (4), 10. ჯონ ბატონი (3). ესპანეთის გრან-პრის მერე სამეული ასე გამოიყურება: 4. რალფ შუმახერი (უილიამსი) — 01:34,27, 5. მიხაელ შუმახერი (ფერარი) — 01:34,38, 6. ჰაინც ფრენცენი (ჯორდანი) — 01:35,12.

## წარმატება — ფანტასტიკური!

ინდონეზიის კუნძულ ბალიზე პირველად მოეწყო უდიდესი, XVI კატეგორიის საერთაშორისო ტურნირი აზიაში უძლიერესი 10 მოჭადრაკის მონაწილეობით: ალექსანდრ ხალიფმანი (რუსეთი), რომელსაც ჟურნალისტები პრეზიდენტ კირსან ილიუმჟინოვის გაფრთხილებისა თუ შეგონების მიუხედავად კვლავ ჯიუტად უწოდებენ ფიდეს მსოფლიო ჩემპიონს, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი ანატოლი კარპოვი (რუსეთი), მსოფლიო ჩემპიონობის ყოფილი პრეტენდენტი იან ტიმანი (ჰოლანდია), ცნობილი დიდოსტატები იასერ სეირავანი (აშშ), ჟოაო მილოში (ბრაზილია), იაან ელვესტი (ესტონეთი), ადიანტო (ინდონეზია), საერთაშორისო ოსტატები გუნავანი (ინდონეზია), ზო ვინ ლეი (მიანმა, ასე ეწოდება ახლა ბირმას) და განთქმული მოჭადრაკე ქალი იუდით პოლგარი (უნგრეთი).

ტურნირის მთელი მსვლელობა სენსაციური გამოდგა. 5 ტურის შემდეგ 4 ქულით ლიდერობდა პოლგარი. მას შემდეგ, რაც მან მომდევნო სამი პარტია ყაიმით დაასრულა და ამდენად 5,5 ქულა მოაგროვა, დიდოსტატ ქალს ხალიფმანი და კარპოვი დაეწივნენ. ამდენივე ქულა მოაგროვა მილოშმაც და ყველაფერი ბოლო ტურს უნდა გადაეწყვიტა, სადაც ხალიფმანი (თეთრებით) და კარპოვი ერთმანეთს ხვდებოდნენ, ხოლო პოლგარის მეტოქე იყო ბრაზილიელი მილოში. ხალიფმანი უტევდა, მაგრამ საბოლოო ანგარიშით ვერაფერი დააკლო მეტოქეს და ყაიმს დასჯერდა, პოლგარმა კი მილოშს სძლია მისთვის დამახასიათებელი უმწვავესი სტილით.

ამრიგად, 9 შესაძლებლიდან 6,5 ქულით პირველ ადგილზე პოლგარი გავიდა. მას ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩნენ ხალიფმანი და კარპოვი. 5,5 ქულით დაამთავრა შეჯიბრება მილოშმა, მეხუთე ადგილზე კი, 5 ქულით, სეირავანია.

იუდით პოლგარი

## რეიტინგი — მიმდინარე და ინდივიდუალური

*პროფესიონალ ჩოგბურთელთა მსოფლიო ასოციაციის ვებიდით, აპრილის საუკეთესო ჩოგბურთელთა ოცეულის რეიტინგლისტი ასე გამოიყურება:*

ანდრე აგასი

1. ანდრე აგასი (აშშ) — 252; 2. ევგენი კაფელნიკოვი (რუსეთი). 231; 3. პიტ სამპრასი (აშშ) — 218; 4. მაგნუს ნორმანი (შვედეთი) — 185; 5-6. სედრიკ პიოლინი (საფრანგეთი), ლეიტონ ჰუიტი (ავსტრალია), — 187-187; 7. ალექს კორეტხა (ესპანეთი) — 156; 8. ტიმ ჰენმენი (დიდი ბრიტანეთი) — 147; 9. თომას ენკვისტი (შვედეთი) — 143; 10. ნიკოლას კიფერი (გერმანია) — 137; 11. გუსტავო კუერტენი (ბრაზილია) — 135; 12. მარკ ფილიპ პუსისი (ავსტრალია) — 131; 13. ნიკოლას ლაპენტი (ეკვადორი) — 130; 14. იუნეს ელ აინაუი (მაროკო) — 120; 15. დომინიკ ხრბატი (სლოვენია) — 115; 16-17. ხუან კარლოს ფერერა (ესპანეთი), მარიანო პუერტა (არგენტინა) — 111-111; 18. ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) — 106; 19. ხაშიმ არაზი (მაროკო) — 105; 20. მარკ როსე (შვეიცარია) — 104.

52 კვირის შედეგების მიხედვით: 1. აგასი — 5074; 2. სამპრასი — 3334; 3. კაფელნიკოვი — 2828; 4. ნორმანი — 2194; 5. კუერტენი — 2081; 6. პიოლინი — 2080; 7. კიფერი — 1981; 8. ლაპენტი — 1960; 9. ენკვისტი — 1749; 10. ჰენმენი — 1740. 11. ჰიუტი — 1656; 12. კორეტხა — 1630; 13. მარსელო რიოსი (ჩილე) — 1504; 14. პატრიკ რაფტერი (ავსტრალია) — 1436; 15. ხრბატი — 1429; 16. გრეგ რუსედსკი (დიდი ბრიტანეთი) — 1343; 17. ელაინაუი — 1276; 18. ალბერტო კოსტა (ესპანეთი) — 1207; 19. ნიკოლა ესკიუდე (საფრანგეთი) — 1180; 20. თომას ჰაასი (გერმანია) — 1171.

***ახლა გადავხედოთ წამყვანი ჩოგბურთელი ქალების ინდივიდუალურ რეიტინგს, მათი ყველა გამოსვლის გათვალისწინებით:***

დევენპორტი

1. ლინდსეი დევენპორტი (აშშ) — 6073; 2. მარტინა ჰინგისი (შვეიცარია) — 6046; 3. ვენუს უილიამსი (აშშ) — 2943; 4. მერი პირსი (საფრანგეთი) — 2785; 5. ნატალი ტოზია (საფრანგეთი) — 2537; 6. სერენა უილიამსი (აშშ) — 2489; 7. მონიკა სელეში (აშშ) — 2365, 8. კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) — 2208; 9. ჟიული ალარი (საფრანგეთი) — 1892; 10. სანდრინ ტესტიუ (საფრანგეთი) — 1867 და ა.შ.

## სპორტული მაისი

### მნიშვნელოვანი საერთაშორისო ასპარეზობათა თვის კალენდარი.

მოხდა ისე, რომ ამ შეჯიბრებათა უმეტესობა გაზაფხულის ბოლო თვის მეორე ნახევარზე მოდის. ამიტომაც თვის დასაწყისში არ გამოქვეყნებულა.

***11-14. ტანვარჯიში.*** ევროპის ჩემპიონატი, ქალები, გოგონები. საფრანგეთი.

***25-28. ტანვარჯიში.*** ევროპის ჩემპიონატი, ვაჟები, ჭაბუკები, საფრანგეთი.

***13-28. ბადმინტონი.*** მსოფლიო ჩემპიონატი. მალაიზია.

***12-22. კრივი.*** ევროპის ჩემპიონატი. ფინეთი.

***18-21. ძიუდო.*** ევროპის ჩემპიონატი. პოლონეთი.

***6-20. აფროსნობა.*** ფინის კლასი. ევროპის ჩემპიონატი. იტალია. 7-14. აფროსნობა. „ტორნადო". ევროპის ჩემპიონატი. იტალია.

***14-28. აფროსნობა.*** „მისტრალი". ევროპის ჩემპიონატი. ესპანეთი

***10-25. აფროსნობა.*** „ვარსკვლავური". ევროპის ჩემპიონატი. საფრანგეთი.

***14-18. ტხეკვანდო.*** ევროპის ჩემპიონატი. საბერძნეთი.

***23-25. მოდიბილდინგი.*** ევროპის ჩემპიონატი. ვაჟები. ესპანეთი.

***სამბო.*** ევროპის ჩემპიონატი. შვეიცარია.

***კარატე.*** ევროპის ჩემპიონატი. თურქეთი.

***7-14. რაგბი.*** ევროპის ჩემპიონატი. ქალები. ესპანეთი.

## კროსვორდი №36

**თარაზულად:** 1. ცნობილი ბასკი ფეხბურთელი, 5. სანიჩბოსნო ნავი, 6. ცნობილი ლიტველი კალათბურთელი ნბა-ში, 9. სანიჩბოსნო ცენტრი შავი ზღვისპირეთში, 10. კიევის „დინამოს" ყოფილი ფეხბურთელი, ნახევარმცველი, 11. ავიაკატასტროფაში დაღუპული „ფახთაქორის" ფეხბურთელი, 12. კრივში დარტყმა ქვემოდან ყბაში, 14. მძლეოსნობის ინვენტარი, 15. პარტიის დასაწყისი ჭადრაკში, 18. საჩოგბურთო პარტიის ნაწილი, 19. ინგლისის საფეხბურთო გუნდი, 22. ესპანეთის საფეხბურთო კლუბი, 23. თბილისის „დინამოს" ვეტერანი ფეხბურთელი, 26. ქართველი ოლიმპ. ჩემპიონი ბ/რ ჭიდაობაში, 28. სვლა ჭადრაკში, 31. ერთ-ერთი ფაზა მძლეოსნობაში ხტომისას, 33. ერთ-ერთი მოთამაშე კეტბურთში, 34. წარსულში სახელგანთქმული საფეხბურთო მწვრთნელი, 35. სპორტული შედეგის გასაჩივრება.

**შვეულად:** 2. „ჩელსის" მწვრთნელი, 3. მძლეოსნობის ინვენტარი, 4. უცხოელი მოჭადრაკე ვაჟი. დიდოსტატი, 7. თამაშგარე მდგომარეობა ფეხბურთში, 8. არგენტინელი ფეხბურთელი, 1978 წ. მ/ჩ-ნი, 9. იტალიის საფეხბურთო კლუბი, 16. სპორტული ნაწარმის ცნობილი ფირმა, 17. ცნობილი ქართველი ჩოგბურთელი ქალი, 20. ჩოგბურთში ცნობილი თასის ფუძემდებელი, 21. ქუთაისის სარაგბო კლუბი, 24. ცნობილი საკალათბურთო გვარი საქართველოში, 25. შეჯიბრების მონაკვეთი, 27. ბრაზილიელი ფეხბურთელი, 29. ოლიმპიური უმაღლესი დოკუმენტი, 30. ერთ-ერთი წონა, 32. რბენაში ერთ-ერთი დისციპლინა.



## მნიშვნელოვანი სპორტული გადაცემები



**9 მაისი, სამშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. I არხი.*** საფეხბურთო მიმოხილვა (14.25), ფეხბურთი. საქართველოს თასი. ნახევარფინალი: „დინამო" (ბთ) – „ლოკომოტივი" (თბ) – 18.00. ***რუსთავი-2.*** ჩემპიონთა ლიგა. „ბაიერნი" – „რეალი" (23.40), ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (2.15), ***კავკასია.*** „მსოფლიო სპორტი" (21.00), ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (19.30), ფეხბურთი (23.00). ***НТВ.*** ჩემპიონთა ლიგა. ბავარია – რეალი (23.35). ***НТВ плюс футбол.*** ინგლისის (14.00, 21.50), გერმანიის (16.30, 0.55), ესპანეთის (19.15), ბრაზილიის თასის (20.05), ***ESPN.*** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (11.30), ესპანეთის საფეხბურთო ლიგა (12.30), ინგლისის პრემიერლიგა (21.50). ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. ევროგოლი (15.00). კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება (0.00).

**10 მაისი, სამშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.*** ჩემპიონთა ლიგა. ბარსელონა – ვალენსია (23.40), ***კავკასია.*** „მსოფლიო სპორტი" (21.00), ***საქართველოს ხმა.*** სპორტული პროგრამა (14.40), ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა (23.30), ***НТВ.*** ჩემპიონთა ლიგა. ბარსელონა – ვალენსია (23.35), ***НТВ плюс футбол.*** ჩემპიონთა ლიგა: ბავარია – რეალი (13.15), ესპანეთის (15.00), ბრაზილიის თასის (15.30), ინგლისის (17.15), ბრაზილიის ჩემპიონატის (19.25, 23.15), იტალიის (21.10), ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალური მატჩების შედეგები (1.30). ***ESPN.*** კალათბურთი. ნბა (4.00, 4.30, 7.00), ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა: რეალი – ბაიერნი (18.00), ვალენსია – ბარსელონა (23.00), ***EUROSPORT.*** ფეხბურთი. ევროგოლი (12.30), ცხენოსნობა. ერთვნებათა თასი (16.30), საბრძოლო ხელოვნება. პარი-ბერსი (0.00), ფეხბურთი. ევროპის ჩემპიონატების ლეგენდები (2.00).

**11 მაისი, ხუთშაბათი**

***საქართველოს ტელევიზია. რუსთავი-2.*** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა (8.35), ***კავკასია.*** „მსოფლიო სპორტი" (21.00). ***НТВ плюс футбол.*** ჩემპიონთა ლიგა: ბარსელონა – ვალენსია (13.15), ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალური შეხვედრების შედეგები (15.00), ბრაზილიის (15.30, 23.20), იტალიის (16.30), ესპანეთის (18.30), ინგლისის (1.05) ჩემპიონატები, თასი და მიმოხილვა. ***ESPN.*** აშშ-ს საფეხბურთო ლიგა: „დალას ბერნი" – „ტამპა ბეი მუტინი" (12.30), ჰოლანდიის ჩემპიონატი (16.30), ჩემპიონთა ლიგა: ვალენსია – ბარსელონა (18.30), ***EUROSPORT.*** საბრძოლო ხელოვნება, საფრანგეთიდან (13.00), სამთო ველორბოლა. მსოფლიო თასი (17.00), კრივი. საერთაშორისო შეჯიბრება (1.00).

## „ტოტო-ლოტო"

### მე-17 ტირაჟის შედეგები 7.05.2000

### ლოტო 6-42

**9 12 13 15 40 41**

გათამაშებაში მონაწილეობდა 9568 ვარიანტი

| | | | |
|---|---|---|---|
| 6 რიცხვი | 0 x | 25 170,00 ლ. | გადადის მე-18 ტირაჟზე |
| 5 რიცხვი | 0 x | 712,30 ლ. | გადადის მე-18 ტირაჟზე |
| 4 რიცხვი | 11 x | 21,70 ლ. | |
| 3 რიცხვი | 223 x | 1,80 ლ. | |

### სუპერ 7

**0 3 4 5 2 4 2**

| | |
|---|---|
| 0345242 | 50 000 ლარი |
| 345242 | 15 000 ლარი |
| 45242 | 5 000 ლარი |
| 5242 | 500 ლარი |
| 242 | 50 ლარი |
| 42 | 3 ლარი |
| 2 | 50 თეთრი |

### „ტოტო-ფეხბურთი" 12 მატჩი

**111 X2X X22 12X**

გათამაშებაში მონაწილეობდა 3771 ვარიანტი

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 შედეგი | 0 x | 5000,00 ლ. | გადადის მე-18 ტირაჟზე |
| 11 შედეგი | 0 x | 384,50 ლ. | გადადის მე-18 ტირაჟზე |
| 10 შედეგი | 14 x | 13,40 ლ. | |

### „ტოტო-ფეხბურთი" 11 მატჩი

**101 110 212 22**

გათამაშებაში მონაწილეობდა 2685 ვარიანტი

| | | | |
|---|---|---|---|
| 11 შედეგი | 0 x | 1000,00 ლ. | გადადის მე-18 ტირაჟზე |
| 10 შედეგი | 5 x | 41,10 ლ. | |
| 9 შედეგი | 23 x | 7,00 ლ. | |

### მე-18 ტირაჟის პროგრამა 13-14 მაისი

### „ტოტო-ფეხბურთი 12"

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. [illegible] | [illegible] | [illegible] | 20-20-60 |
| 2. [illegible] | [illegible] | [illegible] | 20-30-50 |
| 3. [illegible] | [illegible] | [illegible] | 30-40-30 |
| 4. [illegible] | [illegible] | [illegible] | 20-20-60 |
| 5. [illegible] | [illegible] | [illegible] | 20-40-40 |
| 6. [illegible] | [illegible] | [illegible] | 40-30-30 |
| 7. [illegible] | [illegible] | [illegible] | 20-20-60 |
| 8. [illegible] | [illegible] | [illegible] | 20-40-40 |
| 9. [illegible] | [illegible] | [illegible] | 30-40-30 |
| 10. [illegible] | [illegible] | [illegible] | 20-20-60 |
| 11. [illegible] | [illegible] | [illegible] | 20-30-50 |
| 12. [illegible] | [illegible] | [illegible] | 30-40-30 |

### „ტოტო-ფეხბურთი 11"

| | | | |
|---|---|---|---|
| 1. [illegible] | [illegible] | [illegible] | 40-40-20 |
| 2. [illegible] | [illegible] | [illegible] | 20-40-40 |
| 3. [illegible] | [illegible] | [illegible] | 20-20-60 |
| 4. [illegible] | [illegible] | [illegible] | 60-20-20 |
| 5. [illegible] | [illegible] | [illegible] | 60-20-20 |
| 6. [illegible] | [illegible] | [illegible] | 40-30-30 |
| 7. [illegible] | [illegible] | [illegible] | 40-40-20 |
| 8. [illegible] | [illegible] | [illegible] | 20-40-40 |
| 9. [illegible] | [illegible] | [illegible] | 30-40-30 |
| 10. [illegible] | [illegible] | [illegible] | 20-40-40 |
| 11. [illegible] | [illegible] | [illegible] | 30-30-40 |

მე-18 ტირაჟის ბილეთები რეალიზდება 12 მაისის ჩათვლით.

## საჭადრაკო ამოცანა

### ო. მამულაშვილი

(სოფ. კარდენახი)



შამათი 2 სვლაში

## კროსვორდი №35-ის პასუხები:

**თარაზულად:** 5. აფხაზავა, 6. იაკუშინი, 8. რომანცევი, 9. პროსტი, 11. კალცი, 13. ინტერი, 18. ბაგირი, 20. ერერა, 21. „ალანია", 22. ბაბანგიდა, 23. ლაცაბიძე, 24. იპოდრომი. **შვეულად:** 1. ლაზიერი, 2. აზარტი, 3. ბულიტი, 4. ჟილმარი, 7. ონილი, 10. სტენდი, 11. კალაძე, 12. იტალია, 14. ტოლუკა, 15. მანძილი, 16. დეინა, 17. კიზირია, 19. იკპება, 21. ანანდი.

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

თბილისი, 380008, მ. კოსტავას 14. ტელ. 99-56-14. ინდექსი 66435 INDEX. ● „ლელოს" სამაგიდო-კომპიუტერული სისტემა: ხელმძღვანელი გურამ ხიმონიშვილი. შემსრულებლები: მერი წოწორია, ნანი რამიშვილი. ინჟინერ-პროგრამისტი ირინე სიდამონიძე.